ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა



თორნიკე შარაშენიძე: „ახალი პოლიტიკური ალიანსის შექმნა მოსალოდნელი არ არის“

გვ.4

ოთხშაბათი, 4 იანვარი, 2017 №2 (7237) ფასი: 50 თეთრი

## „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია“



„მაკეინი ივანიშვილთან გარიგებული ნაციონალების „მისაჩუხანებლად“ ჩამოვიდა“

გვ.3



ლადო სადღობელაშვილი: „უსუფაშვილის პარტიაში თინა ხიდაშელის ადგილი არ იქნება"





## გია ვოლსკი: „უსუფაშვილი დაპირისპირებისკენ მოგვიწოდებს“

რას პასუხობს პრეზიდენტი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს

გვ. 5



შალვა შავგულიძე: „ტალღებად მონათლული სასამართლოს რეფორმიდან შხეფებიც კი არ დარჩა“

გვ.2





გვ.6

2017 წლის აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლების 46,6% რუსეთიდან მიღებული ფინანსური დახმარება იქნება

სიღნაღის ყოფილ გამგებელსა და მის მოადგილეებს ხელფასი თანამდებობის დატოვების შემდეგაც მისცეს

გვ.6



ISSN 1987-9385

# შალვა შავგულიძე: „ტალღებად მონათლული სასამართლოს რეფორმიდან შხეფებიც კი არ დარჩა“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემის მესამე ტალღაზე საუბრობს.**

***– ბატონო შალვა, სასამართლო სისტემის ე.წ. მესამე ტალღა დაამტკიცა პარლამენტმა. რა ხელშესახებ ცვლილებას მიიღებს სისტემა რეფორმის მესამე ტალღისგან?***

– სასამართლო სისტემა რეფორმირებას რომ საჭიროებს, ამაზე აღარ ვსაუბრობ, მაგრამ ამ კანონპროექტით ისეთ მნიშვნელოვან დებულებებზე ითქვა უარი, რომელიც აუცილებელი იყო სისტემის გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, უარი ითქვა სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევითობაზე. ისევ იუსტიციის საბჭო ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარეებს. ასევე, იუსტიციის საბჭოს წევრობის უფლება ეძლევათ მხოლოდ წინა ხელისუფლების დროს 10-წლიანი ვადით დანიშნულ მოსამართლეებს. ახალ მოსამართლეებს ამის შესაძლებლობა არ ეძლევათ. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევანი კეთდება ძველ მოსამართლეთა კორპუსზე და არა ახლებზე.

რაც შეეხება საქმეთა ელექტრონულ, შემთხვევითი განაწილების პრინციპს, მნიშვნელოვანია, მაგრამ ის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სტანდარტებს ეწინააღმდეგება.



***– რატომ?***

– თავად კანონით არ არის განსაზღვრული, თუ როგორი მექანიზმით იქნება საქმეთა ელექტრონული წესით განაწილება. იუსტიციის სამინისტროს ევალება, შექმნას სამუშაო ჯგუფი სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც შექმნიან ელექტრონულ პროგრამას, რაც უნდა დაამტკიცოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მაგრამ პარლამენტმა წინასწარ კანონად გამოაცხადა ის, რაც არ ვიცით, საბოლოოდ თუ რა სახეს მიიღებს.

***– ყველაზე მნიშვნელოვანი რასაც გამოყოფდით, თუ რა გზით უნდა წავიდეს სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღა?***

– მეც მქონდა პატივი, რომ თავის დროზე აღნიშნულ კანონპროექტზე მემუშავა. ჩვენ არ გვინდოდა იმ გზით წასვლა, რა გზითაც განახორციელა სასამართლო რეფორმა წინა ხელისუფლებამ. წინა ხელისუფლებამ მოსამართლეები სასამართლოდან გაყარა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ახალი კორპუსი მიიღო. ეს არ გვინდოდა ნამდვილად, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ თანაბარი პირობები შეგვექმნა, აუცილებელი იყო სწორედ ამ გზით წასვლა ყველა მოსამართლისთვის ხელახლა თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში. ეს იქნებოდა ახლი თუ ძველი მოსამართლე, რომელსაც ვადა გაუვიდოდა, მაგრამ ვადის გასვლამდე მათ, რა თქმა უნდა, არ უნდა შევხებოდით. ამიტომ საჭირო იყო ახალი კრიტერიუმების მკაფიო, ნათელი, ეფექტური კრიტერიუმების შემოღება, რომლითაც მოსამართლეები შეფასდებოდნენ იმ გამოსაცდელი ვადის პერიოდში, რაც შემოღებული იქნა. პირადად მე გახლდით იმ კანონპროექტის ავტორი, რომელიც მოსამართლეების სამწლიან გამოსაცდელ ვადას ითვალისწინებს.

***– გამოსაცდელ სამწლიან ვადას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა თავის დროზე.***

– ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. სწორედ ამ სამწლიანი გამოსაცდელი ვადის ქვეშ უნდა მოქცეულიყო ყველა მოსამართლეობის მსურველი. აქ საუბარია ძველ მოსამართლეებზეც, რომელთაც ვადა გაუვიდათ და ახალ მოსამართლეებზეც, რომელთაც უნდათ უვადოდ გამწესება. ყველას ერთნაირი ახალი კრიტერიუმებით უნდა გაევლოთ სამწლიანი გამოსაცდელი ვადა და შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო მათი მოსამართლედ დანიშვნის საკითხი. ამ თანასწორ პირობებს ვთავაზობდი. რასაკვირველია, კრიტერიუმებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მოსამართლეთა მიერ განხორციელებული პროფესიული უფლებამოსილება, ანუ მათი საქმეების გადაწყვეტილების რა პროცენტი იქნა შენარჩუნებული საბოლოო ინსტანციაში, ე.ი. საკასაციო კონტროლს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ამიტომ საჭირო იყო საკასაციო სასამართლოში მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი, ახალი მოსამართლეების მიღება სერიოზული ოდენობით, რათა საკასაციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელი გამხდარიყო. არსებული 14 მოსამართლე არსებულ საკასაციო განხილვებს უბრალოდ ვერ აუვიდოდა. წინა ხელისუფლების დროს ფაქტიურად საკასაციო სასამართლო აღარ ფუნქციონირებდა, ამიტომაც იყო 14 მოსამართლე მხოლოდ დარჩენილი. მაშინ სარჩელთა 90 % დაუშვებლად იყო გამოცხადებული და არც კი განიხილებოდა. ამიტომ თავდაპირველ ვარიანტში უზენაეს სასამართლოს წევრთა რაოდენობის გაორმაგება გვქონდა შეთავაზებული. ეს აუცილებელია, რადგან საჭიროა განხორციელდეს ეფექტური საკასაციო კონტროლი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე.

***– ბატონო შალვა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა არ იზრდება?***

– მხოლოდ ორი მოსამართლით, 14 მოსამართლის ნაცვლად 16 გვეყოლება. თუ რატომ, ამას მხოლოდ ერთადერთი ცუდი ახსნა აქვს: პრეზიდენტის მიერ ხდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ინიცირება. წარმოიდგინეთ პრეზიდენტის მიერ ინიცირებული 14 მოსამართლის ჩაგდება პარლამენტში, ეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა „ქართულ ოცნებას“, ორ მოსამართლეს უფრო მარტივად ჩააგდებს, ეს ისე არ ყვირის.

ამდენად, ტალღებად მონათლული რეფორმიდან, სამწუხაროდ, შხეფებიც კი არ დარჩა. თავიდან, მართლაც ვფიქრობდით, რომ რბილად, სამართლიანობის პრინციპის დაცვით, მართლაც ტალღებად განგვეხორციელებინა სასამართლო სისტემის ესოდენ საჭირო რეფორმა.

***– თუ ასეა, რა მოხდა?***

– ეს რეფორმა მართლაც უზრუნველყოფდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხს, რაც, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა საჭირო „ქართული ოცნებისთვის“. ამიტომ მივიღეთ შეფარვით შენარჩუნება ისევ მართვადი სასამართლოსი.

# გიგა ბოკერია: „ივანიშვილისგან ზიანი ქვეყნისთვის ძალიან დიდია“



– მსგავსი მაღალი დონის პოლიტიკოსების ვიზიტი საქართველოში ხელს შეუწყობს, ნაკლები ზიანით გაიაროს ქვეყანამ ეს პერიოდი. სენატორებთან საუბარი გვქონდა რუსეთსა და ქვეყნის შიდა პროცესებზე.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ ამერიკელ სენატორ ჯონ მაკეინთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც გიგა ბოკერიამ აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილისგან ზიანი ქვეყნისთვის ძალიან დიდია, თუმცა მსგავსი მაღალი დონის პოლიტიკოსების ვიზიტი საქართველოში ხელს შეუწყობს, ნაკლები ზიანით გაიაროს საქართველომ ეს პერიოდი.

– სენატორ მაკეინის, სენატორ გრაჰამისა და დემოკრატ სენატორ კლობუჩარის ჩამოსვლა ჩვენთვის ამ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია. ძალიან სარისკო საერთაშორისო ვითარებაა ყველასთვის, მაგრამ საქართველო განსაკუთრებით სარისკო ვითარებაშია.

ახალი ადმინისტრაციაა აშშ-ში, რომლის პოლიტიკა ჯერ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი და ასეთი დონის პოლიტიკოსების ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში მნიშვნელოვანი სიგნალია. ჩვენი ვალია, გავაცნოთ ჩვენი ხედვა იმ გამოწვევებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს, რუსეთზე, ქვეყნის შიდა პროცესებზე და სწორედ ამ თემებზე გვქონდა საუბარი.

ჩვენი პოზიცია არის მკაფიო რუსთავი 2-ზე, პოლიტიკური დევნისა და პოლიტიკურ პატიმრების საკითხზე. დემოკრატიული ცვლილებების საკითხი გადაბმულია უსაფრთხოების საკითხთან. ზიანი ივანიშვილისგან ძალიან დიდია, თუმცა ამ დონის პოლიტიკოსების ვიზიტი, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს, ნაკლები ზიანით გაიაროს საქართველომ ეს პერიოდი, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახუშტი მენაბდე: „პარლამენტს შეუძლია, 2018 წელს ახალ პრეზიდენტსაც შეუწყვიტოს უფლებამოსილება“

კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტ ვახუშტი მენაბდის აზრით, პარლამენტს შეუძლია, ახლადარჩეულ პრეზიდენტს 2018 წელს უფლებამოსილების ვადა შეუწყვიტოს.

ამის შესახებ მენაბდემ „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ვადაზე ადრე გადადგომის შესაძლებლობის თაობაზე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მოსაზრებაზე კომენტირებისას განუცხადა.

კონსტიტუციონალისტის თქმით, პოლიტიკური ანალიზი ამ თემაზე იქნებოდა სპეკულაცია, ვინაიდან ძალიან რთულია, წინასწარ განისაზღვროს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს გიორგი მარგველაშვილი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენ არ ვიცით, კონსტიტუციური რეფორმის შედეგად რეალურად შეიცვლება თუ არა პრეზიდენტის არჩევის წესი.

– რასაც ბატონი უსუფაშვილი ამბობს, ის მოდელი ფორმალურად შეიძლება, არსებობდეს. კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა. ვინაიდან კონსტიტუციის გადასინჯვა ორ თანმიმდევრულ სესიაზე არის დამოკიდებული, შესაძლოა, მოქმედი პრეზიდენტი გადადგეს მას შემდეგ, რაც ცხადი გახდება პარლამენტისა და უმრავლესობის განზრახვა, აირჩიოს პრეზიდენტი ირიბი წესით და პრეზიდენტის არჩევის ახალი წესის დამტკიცებამდე დაინიშნოს არჩევნები ძველი წესით და აირჩეს ახალი პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში პარლამენტს ორი ვარიანტი დარჩება – ერთი, გადადოს პრეზიდენტის არჩევის წესის ამოქმედება მანამ, სანამ ახალარჩეულ პრეზიდენტს არ დაუმთავრდება ვადა და მეორე – არ მიაქციოს ამას ყურადღება და მიუხედავად იმისა, რომ ახალარჩეული პრეზიდენტი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იქნება თანამდებობაზე, 2018 წელს უხეშად, პირდაპირ დანიშნოს არჩევნები და შეუწყვიტოს ახალარჩეულ პრეზიდენტს ვადა, რაც მაინცდამაინც თანხვედრაში არ იქნება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან, თუმცა არც რაიმე ინსტანცია იარსებებს, რომელიც პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას გააუქმებს. მე არ ვფიქრობ, რომ ეს მისაღები იქნება, თუმცა ვიმეორებ, არ იქნება ინსტანცია, რომელსაც შეეძლება პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გაუქმება, – განაცხადა ვახუშტი მენაბდემ.



მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იქნება ასეთი ინსტანცია, ვინაიდან პარლამენტი კონსტიტუციაში ჩაწერს პრეზიდენტის ახალი წესით არჩევის ვადას, ხოლო აქამდე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო არ ერევა იმ საკითხების განხილვაში, რომელიც კონსტიტუციით გათვალისწინებულია.

– მე არც მომავალში ველი, რომ მოქმედმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ხედვას გადახედოს, – დასძინა ვახუშტი მენაბდემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქართულმა ოცნებამ“ ბანკ „ქართუს“ ნასესხები მილიონი ლარი დაუბრუნა




„ქართულმა ოცნებამ“ ბანკ „ქართუს“ ნასესხები მილიონი ლარი დაუბრუნა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განუცხადეს.

მმართველმა პარტიამ ბანკ „ქართუდან“ სესხის სახით აღებული მილიონი ლარი დეკემბერში მას შემდეგ დაფარა, რაც, ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან საბიუჯეტო დაფინანსება მიიღო.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბანკ „ქართუდან“ წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯებისთვის მილიონი ლარის ოდენობის სესხი სექტემბერში აიღო. შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის მიხედვით, მისი დაფარვის ვადა 4 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 11% იყო. სესხის უზრუნველყოფად მითითებული იყო „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც, თავის მხრივ, იმ პარტიების მიერ მილიონ ლარამდე გაწეული ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებას გულისხმობს, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია“

## „მაკეინი ივანიშვილთან გარიგებული ნაციონალების „მისაჩუქნებლად“ ჩამოვიდა“

შორენა მარსაგიშვილი

**ვისი მითითებით ქმნის დავით უსუფაშვილი ახალ პარტიას, რა ხდება „ქართულ ოცნებაში", რატომ ჩამოვიდა საქართველოში სენატორი მაკეინი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ჩვენში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საქართველოში ამერიკელ სენატორ მაკეინის ჩამოსვლამ. ამ პიროვნებაზე მაღალი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ ის 1 იანვარს საქართველოში შემთხვევით არ ჩამოვიდოდა. მას აქ ჩამოსვლა რამდენიმე დღის შემდეგაც შეეძლო, მაგრამ მაშინ მისი ვიზიტი დაგვიანებული იქნებოდა. აშკარაა, რომ ამ ადამიანს რაღაც ეჩქარებოდა.

ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ, რომ ეს ადამიანი ახალგაზრდა მეცნიერებს შეხვდა და საოკუპაციო ზოლთან მივიდა. ეს ყველაფერი არის ფარსი – მისი ვიზიტი ნაციონალური მოძრაობის ყრილობას უკავშირდება. დღეის მონაცემებით, ნაცები გაყოფილები არიან და ერთმანეთს ლანძღავენ, 20 იანვრის შემდეგ კი ეს დაპირისპირება, შესაძლოა, კიდევ უფრო გაღრმავდეს. არც ის არის შემთხვევითი, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე მაკეინი სააკაშვილთან ჩავიდა უკრაინაში.

*– თქვენი აზრით, ნაცმოძრაობა იმდენად მნიშვნელოვანია მაკეინისთვის, რომ ის ამერიკიდან საქართველოში ახალი წლის დღეებში ჩამოვიდა?*

– ნაციონალური მოძრაობა აგრესიული ამერიკელი რესპუბლიკელების პროექტია. ამ ქორების ერთ-ერთი ლიდერი თავად მაკეინია. აგრესიული რესპუბლიკელების მთავარ მიზანს ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის არევა წარმოადგენდა და არიეს კიდევაც ყველაფერი. ისინი არიან ფერადი რევოლუციების შემქმნელები. ეს ქორები ძალიან ჰგვანან რუს გენერლებს – ომის დროს დიდ ფულს შოულობენ. ფულიანი და გავლენიანი ნაცმოძრაობის გაყიდვა არ აწყობთ.

*– გაყიდვაში რას გულისხმობთ?*

– რას და გაპარტახებული ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილმა ძალიან იაფად იყიდა. ეს ამბავი ჩემი მოგონილი არ არის. ამაზე თავად ნაცმოძრაობის წევრები საუბრობენ. ნაყიდები რომ არიან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სააკაშვილმა პარტიის ნაწილზე კონტროლი დაკარგა.

სკაიპითა და სატელევიზიო მიმართვებით მან არაერთხელ ცადა თანაპარტიელების შემორიგება, მაგრამ ნაცმოძრაობის გაერთიანება ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ნაპრეზიდენტალი იძულებული გახდა, მაკეინისთვის დაერეკა და დახმარება მისთვის ეთხოვა. როგორც უკვე გითხარით, ეს პარტია მისი პროექტია და, გაიგო თუ არა პრობლემების შესახებ, ახალი წლის დღეებში საქართველოსკენ დააწვა.

უკრაინიდან ჩამოსული მაკეინი აქ მყოფ ნაციონალებსაც შეხვდა და, სავარაუდოდ, დაალაგა კიდევაც სიტუაცია. როგორც პატარა ბავშვებს აუწევენ ხოლმე ყურებს, ასე აუწია მან ბოკერიას ფრთის წარმომადგენლებს ყურები. ისინი, ფაქტობრივად, მიაჩუხანა. ამ დღეებში დავინახავთ, რომ ნაცმოძრაობის წევრები სულ სხვა ხმაზე აჭიკჭიკდებიან. არც გაყოფა მოხდება



და სააკაშვილიც შეინარჩუნებს პარტიის თავმჯდომარის პოსტს. აქამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ივანიშვილს უნდოდა. ახლა ასე აღარ იქნება. ნაციონალებთან დაკავშირებით მისი გეგმა, ფაქტობრივად, ჩავარდა.

*– ამას ასე იოლად შეხვდება ივანიშვილი? ზემოთ თქვით, რომ მან ერთი ხელის მოსმით იყიდა ეს პარტია.*

– რა უნდა გააკეთოს? გვინდა თუ არა, მაკეინი სენატორია და ის მთელ მსოფლიოში დიდი გავლენით სარგებლობს. არჩევნების წინ ნაციონალებს ჰქონდათ ძალიან სერიოზული გეგმა. ისინი პარლამენტში არ უნდა შესულიყვნენ. ასეთი გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, პარლამენტი ლეგიტიმაციას დაკარგავდა. ყოფილი ხელისუფლების მთავარი მიზანი „ქართული ოცნების“ ჩამოშლა იყო. იმის მაგივრად, რომ ამ გზას დასდგომოდნენ, პარლამენტში შევიდნენ. აშკარაა, საქმე რაღაც სხვა მოვლენასთან გვაქვს.

ამ პროცესებმა გამოაჩინა ისიც, რომ გიგა ბოკერია რუხი კარდინალი კი არა, პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, რომელსაც, სააკაშვილისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ ოპოზიციას ნამდვილად ვერ ვუწოდებ. ბოკერიამ და მისმა ფრთამ ივანიშვილის თამაში ითამაშეს.

ამ თამაშს აქამდე ივანიშვილი იგებდა, მაგრამ ეს ვილაცების ინტერესებში არ შედის და ამიტომაც ჩამოვიდა მაკეინი საქართველოში. მისი ვიზიტის შემდეგ ბევრი რამე შეიცვლება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბოლო პერიოდში პარტიები ერთმანეთის მიყოლებით დაიშალნენ. პოლიტიკურ ბაზარზე ახალი მოთამაშეები უნდა შემოვიდნენ. ნაციონალებისა არ იყოს, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დრო უკვე მოჭამა.

*– 4 წელიწადში მოჭამა თავისი დრო?*

– მოჭამა და თან სერიოზულად. ამ პარტიას ბიძინა ივანიშვილი რომ ჩამოვაშოროთ, კაციშვილი არ მისცემს მაგათ ხმას. მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ბევრი ივანიშვილს კი არა, მის მილიარდებს აძლევს ხმას. მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა, რომ ის მილიარდერია და ხალხის ფულს არ მიითვისებს. ჩვენი მოსახლეობა დარწმუნებულია იმაშიც, რომ მისი ფულები გუგლსა და კარფურშია ჩადებული.

მეც მჯერა, რომ ის ჩვენს ფულს არ მოიპარავს, მაგრამ მას ჰყავს ნათესავები, რომლებიც ძალიან კარგადაც აკეთებენ ფულს და მთელ საქართველოს მოასხდნენ. იმდენი მოახერხეს, რომ ძალიან მოკლე ხანში ხალხს თავი შეაძულეს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ პარტია სოროსის ბარტყებით გაავსეს. ეს სოროსი და მისი ბარტყები კი უკვე ამერიკასაც აღარ უნდა. ამიტომაც ვამბობ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დრო მოჭამა.

სოროსის მითითებით აქამდე მიდიოდა პუტინისა და რუსეთის გინება. ამერიკის ახალ ხელმძღვანელობას კი მოსკოვთან სხვა ურთიერთობა სურს. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონი შეეცდება, საქართველოში ისეთი პოლიტიკოსები მოიყვანოს, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერენ. ჩემი აზრით, სწორედ ამას უკავშირდება დავით უსუფაშვილის პოლიტიკაში შემობრუნება. პარტია, რომელსაც ის ჩაუდგება სათავეში, არც პრორუსული იქნება და არც პროამერიკული.

### ლადო სადღობელაშვილი: „უსუფაშვილის პარტიაში თინა ხიდაშელის ადგილი არ იქნება“

*– დარწმუნებული ხართ, რომ უსუფაშვილი ისეთ პარტიას შექმნის, რომელიც პროამერიკული არ იქნება?*

– თინა ხიდაშელზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ უსუფაშვილი ნამდვილად გახდება ასეთი ძალის ლიდერი. ის ისეთ პარტიას გააკეთებს, სადაც თინა ხიდაშელის ადგილი არ იქნება.

მინდა, თქვენს მკითხველს შევახსენო, თუ ვინ იყო დათო უსუფაშვილი 2008 წლამდე. 2008 წლამდე ის წელიწადში 7-ჯერ მაინც ჩადიოდა მოსკოვში. მას იქ ბევრი მეგობარი ჰყავს და სპონსორებსაც პოულობდა. რამდენიმე წლის წინ რუსეთის თემაზე მან და სოზარ სუბარმა კავკასიის პირდაპირ ეთერში სერიოზულად იჩხუბეს. დავით უსუფაშვილისგან არასდროს მახსოვს, რუსეთზე შეურაცხმყოფელ ტონალობაში ესაუბრა.

*– უსუფაშვილს ასეთი ტონი არავის მიმართ არ ჰქონია.*

– სხვებისგან განსხვავებით, ის დადებითი პერსონაა. თავისი ცოლი და ძმები ბერძენიშვილები რომ არა, მას დეპუტატად კიდევ აირჩევდნენ, მაგრამ ხიდაშელმა და ძმებმა შეაზიზღეს ხალხს რესპუბლიკელები. საჭიროების შემთხვევაში მის გაერთიანებას გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდება.

*– მარგველაშვილიც არ არის ანტირუსულად განწყობილი?*

– მინდა, გიორგი მარგველაშვილის განცხადებებიც გაგახსენოთ. 2010 წელს მან კავკასიის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, ჩვენ რუსეთის ორბიტაზე უნდა ვიტრიალოთო. დამერწმუნეთ, ისინი ძალიან მარტივად გამონახავენ საერთო ენას. დღეს ამერიკას საქართველოში ისეთი დასაყრდენი უნდა, რომელიც რუსეთის ლანძღვაგინებას არ დაიწყებს, მაგრამ არც მოსკოვის ინტერესების გამტარებელი არ იქნება. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, პოლიტიკურ ბაზარზე ბევრი ახალი მოთამაშე გამოჩნდება.

ამის გარდა, საქართველოში პრორუსული პარტიების გაძლიერებაც მოხდება. ეს პარტიები მკვეთრად პრორუსულები იქნებიან, მაგრამ ამერიკის ლანძღვას არ დაიწყებენ. ამერიკისა არ იყოს, მოსკოვსაც ნეიტრალური პოლიტიკოსები სჭირდება დასაყრდენად.

*– პრორუსული ძალები ვის გარშემო გაერთიანდებიან?*

– არა მგონია, ეს ნინო ბურჯანაძე იყოს. მას აღარ აქვს ისეთი დიდი პოლიტიკური წონა, როგორიც 2011 წელს. მას თავის პარტიაშიც სერიოზული პრობლემები აქვს.



ეს გაერთიანება არც პატრიოტთა ალიანსის გარშემო მოხდება. ჩვენ რატომღაც პრორუსულ ძალად ვითვლებით, მაგრამ ეს სისულელეა – პატრიოტთა ალიანსი პროევროპული პარტიაა.

*– ზემოთ თქვენ ახალი მოთამაშეების გამოჩენაზე ისაუბრეთ. საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდება, რომ პოლიტიკაში ირაკლი ღარიბაშვილიც დაბრუნდება. ამაზე გასულ წელს თქვენც საუბრობდით. ახლა რას ფიქრობთ?*

– ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია. „ქართულ ოცნებაში“ ისეთი ამბები მიდის, რომ ამ ძალას მხოლოდ ღარიბაშვილი გადაარჩენს. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ის კარგი სათადარიგო მოთამაშეა. კარგი სათადარიგო მოთამაშეები კი მაშინ გამოჰყავთ, როცა გუნდს ძალიან უჭირს. „ქართულ ოცნებაში“ კი ძალიან მძიმედ არის საქმე.

*– რით გამოიხატება ეს სიმძიმე?*

– რაში და ერთმანეთს ჭამენ. თებერვლის ბოლოს ეს პროცესი უკვე ღია გახდება. ახლა რაღაცნაირად თავს იკავებენ. პროცესის სირთულეზე პარტიაში ფრაქციების შექმნის პროცესიც მეტყველებს. ფრაქციის შექმნა უნდოდა კახა ოქრიაშვილს, მაგრამ მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს და გამოძიება დაიწყეს. მას ახვლედიანები ქუთაისში აფთიაქების წართმევას ედავებიან. „ქართულ ოცნებას“ რომ სამართლიანობის აღდგენა არ აინტერესებს, ყველამ ვიცით. საინტერესოა, რატომ დაინტერესდა ახვლედიანების საქმით? აშკარად რაღაცაშია საქმე. თავისი თანაგუნდელის წინააღმდეგ საქმეს არავინ აღძრავდა. დარწმუნებული ვარ, არც ამ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე, მაგრამ ოქრიაშვილს გააჩერებენ.

*– რას აპირებდა ოქრიაშვილი ამისთანას, რომ მისი გაჩერება გახდა საჭირო?*

– რაღაცას აპირებდა. მის მიერ ფრაქციის შექმნა ვილაცას არ აწყობს. დიდად არც ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა გახარებიათ, მაგრამ მას ვერაფერს უხერხებენ. მის წინააღმდეგ კომპრომატები არ აქვთ და ესეც ხან მინისტრებს მიახტება, ხან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. ამით ის სერიოზულ ქულებს იწერს. თავის სათქმელს მალე იტყვის.

თებერვლის ბოლოდან „ქართულ ოცნებაში“ დიდი დაჭმა დაიწყება და მისი გადარჩენა მხოლოდ ღარიბაშვილის დაბრუნებით იქნება შესაძლებელი.

## საქართველოში საავტომობილო გაზის ფასი გაიზარდა



GBC-ს ინფორმაციით, სხვადასხვა ავტოგასამართ სადგურებზე 1 კუბმეტრის ფასი 1.44-1.45 ლარი გახდა, ზრდამ კი 19-20 თეთრი შეადგინა.

1 იანვრიდან აქციზის ფასმა გაზზე 1000 კუბურ მეტრზე 80-დან 200 ლარამდე მოიმატა.

რაც შეეხება ბენზინსა და დიზელზე ფასის ზრდას, GBC-ის ინფორმაციით, ავტოგასამართი ქსელის მქონე კომპანიების ნაწილმა ფასები გაზარდა, მათ შორის ვისოლმა – 15 თეთრით.

ვისოლის ქსელში ეკო სუპერის ფასი 2,34 ლარი გახდა, ეკო პრემიუმი – 2,19 ლარი, ეკო რეგულარი კი – 2.09 ლარი.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ბენზინზე აქციზის ღირებულება ერთ ტონაზე 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა; დიზელზე – 150-დან 400 ლარამდე; გაზზე – 80-დან 200 ლარამდე.

მედიანიუსი

## თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზარდა



საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედეგად, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზარდა.

შესაბამისი ცვლილება ძალაში 1 იანვრიდან შევიდა.

შედეგად, აქციზის გადასახადი 1 კოლოფ ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრით გაიზარდა, აქციზის განაკვეთი 1.3 ლარის ნაცვლად 1.9 ლარია. 1 კოლოფ უფილტრო სიგარეტზე აქციზის განაკვეთი 0.3 ლარის ნაცვლად 0.6 ლარია; 1 ღერ სიგარაზე 1.3 ლარის ნაცვლად 1.9 ლარი; სიგარილებზე (წვრილი სიგარები) 20 ღერზე 1.5 ლარის ნაცვლად 2.2 ლარი; ყალიონით მოსაწევ თამბაქოზე 1კგ-ზე 25 ლარის ნაცვლად 35 ლარი; საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოზე კი 1კგ-ზე 25 ლარის ნაცვლად 35 ლარი.

მედიანიუსი

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## ჟურნალმა Vogue-მა საქართველო 2017 წელს ათ საუკეთესო სამოგზაურო მიმართულებას შორის დაასახელა



პოპულარულმა ჟურნალმა Vogue-მა 2017 წლის საუკეთესო ტურისტული მიმართულებების სია გამოაქვეყნა, სადაც ტოპათეულში საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა.

Vogue-ის ჟურნალისტ ჯენ მერფის თქმით, საქართველო ბოლო წლებში საუცხოო ღვინით ძალიან პოპულარული გახდა, მაგრამ, ღვინის გარდა, ქვეყანაში ბევრი საინტერესო სანახაობისათვის მოგზაურობენ.

მისი თქმით, საქართველოს დედაქალაქი თბილისი ახალგაზრდებისთვის ბრუკლინის სტილის გასართობ ცენტრად იქცა და ქვეყანა ცნობილი გახდა ელექტრონული მუსიკის მოყვარულებისთვის.

– საქართველო მზად არის, მოთხილამურეებისა და სნოუბორდის მოყვარულებისთვის ზამთრის ტურისტული მიმართულების ახალ ცენტრად იქცეს. ზამთრის სპორტის მოყვარულებს საქართველოში კავკასიონის მთების ხელშეუხებელი რელიეფი იზიდავთ, – წერს ჯენ მერფი.

საქართველოს გარდა, Vogue-ის საუკეთესო ათეულშია: ომანი, მალაიზია, მადაგასკარი, შრი-ლანკა, ტრინიდადი და ტობაგო, აიდაჰო,(აშშ) იორდანია, დანია და კოლუმბია.

მედიანიუსი

2017, 4 იანვარი, №2

# თორნიკე შარაშენიძე: „ახალი პოლიტიკური ალიანსის შექმნა მოსალოდნელი არ არის“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დაასწროს საკონსტიტუციო ცვლილებებს და ვადაზე ადრე გადადგეს, რაზეც პრეზიდენტი კომენტარს არ აკეთებს. რას ფიქრობთ თქვენ?***

– ვინ პროგნოზირებს პრეზიდენტის გადადგომას?

***– დავით უსუფაშვილი.***

– მე არ მესმის, რატომ უნდა გადადგეს მარგველაშვილი. ის საკმაოდ აქტიურად მუშაობს. რა უფლებამოსილებაც დაუტოვეს, იმ ფარგლებში მუშაობს. მისი გადადგომა იქნება უპასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, ნებისმიერი მოტივით.

***– ამბობენ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის კიდევ უფრო მეტად შევიწროება მიმდინარეობს. ასეა?***

– ყველა ხელისუფლება საქართველოში ცდილობს, თავიდან ბოლომდე გააკონტროლოს ყველა ინსტიტუტი. პრეზიდენტის ინსტიტუტი ერთადერთია, რომელიც შედარებით დამოუკიდებელია ამ ეტაპზე. მისი მხრიდან გადადგომა ამ ეტაპზე არასწორი ნაბიჯი იქნება.

***– რას ელოდებით 2017-ში? რამდენად გააქტიურდებიან ოპოზიციური ძალები? ამბობენ, რომ დავით უსუფაშვილი საკმაოდ გააქტიურდება. ელოდებით ახალ პოლიტიკურ ცენტრებს, კოალიციებს?***

– არანაირ ალიანსს არ ველოდები. მარტივი მიზეზის გამო, დღეს პოლიტიკური პარტიები ძალიან სუსტია. ეს გამოაჩინა ბოლო არჩევნებმა. პოლიტიკური პარტიები ვერ დალაგდნენ. არავინ იცის, ვინ ვისთან გაერთიანდება და მეორეც – ფული, პრაქტიკულად, არავის აქვს. დღეს ფული აქვს მხოლოდ ორ ძალას, ბიძინა ივანიშვილსა და ნაცმოძრაობას.

***– ანუ?***

– ანუ ის, რომ ოპოზიციის გამოჩენა ძალიან რთული იქნება. თუ გამოჩნდება ახალი ოპოზიციური ძალა, ჩვენ მათ კითხვა უნდა დავუსვათ – ვისი ფულით ფინანსდება?!

***– თქვენ ფიქრობთ, რომ თუ გამოჩნდა ახალი ოპოზიციური გაერთიანება ან ახალი ცენტრი, მას რომელიმე ეს ძალა დააფინანსებს?***

– უფრო ბიძინა ივანიშვილი, რადგან დღეს ნაცმოძრაობას იმდენი ფული არა აქვს, რომ სხვა პარტიები არჩინოს.

***– გამოდის, ხელოვნურად შექმნილი ოპოზიცია გვეყოლება?***

– ამის ძალიან დიდი შანსი არსებობს.

***– მინიშნებები ამაზეც ადრეც კეთდებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავადვე შექმნის ოპოზიციურ ძალას. იკვეთება ამის ნიშნები? რადგან უსუფაშვილზე ვსაუბრობდით, უშვებთ იმას, რომ ის იყოს ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ახალი ოპოზიციური ცენტრის ლიდერი?***

– გამორიცხული არაფერია. რატომაც არა. უსუფაშვილმა დიდხანს იმუშავა ივანიშვილთან, მათ შორის პირადი კონფლიქტი არ მომხდარა და უსუფაშვილმა საკუთარი პარტიაც დატოვა. მეტი რა უნდა გაეკეთებინა, საინტერესოა!

***– ანუ ეს ყველაფერი კითხვის ნიშნებს იწვევს?***

– რასაკვირველია. ამდენი ხანი იყო პარტიაში, არც სხვა დროს მიუღწევია ამ პარტიას დიდი წარმატებისთვის და მაინცდამაინც ახლა რატომ დატოვა!

***– ანუ ის მესამე ოპოზიციური ცენტრი, ძლიერი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ასე ელოდება საზოგადოება, შესაძლოა, ისევ ივანიშვილის მიერ იყოს დაფინანსებული?***

– დიახ. ჩვენ უნდა ავდგეთ და ძალიან მარტივად ვკითხოთ ასეთ ძალას: საიდან მოდის ფული?! ამ ქვეყანაში ბიზნესმენებს იმდენი ფული არ აქვთ, რომ პარტიები დააფინანსონ. პლუს, ჩვენთან არის ისეთი მოდელი, რომ ბიზნესმენები ერიდებიან პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, პოლიტიკაში ჩარევას. პოსტსაბჭოური მოდელია.

***– ექსპერტების შეფასებით, „ოცნებამ“ კონსტიტუცია იღლიაში ამოიდო. თქვენ ხედავთ ამის ნიშნებს?***

– ამ კუთხით ფონი კიდევ უფრო დაიძაბება. საზოგადოების აქტიური ნაწილი კარგად ხვდება, რომ არ შეიძლება, მეორედ მოხდეს იგივე, რაც ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს. ეს ცუდია როგორც მმართველი პარტიისთვის, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცუდია სახელმწიფოსთვის. ასე რომ, აუცილებელია მოხდეს საზოგადოების მობილიზება. საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ ასე მარტივად გადაწყდეს ეს საკითხი, რომ დღეს ვიღაცამ მოინდომოს და კონსტიტუცია შეცვალოს.

***– რას იტყვით პრეზიდენტის არჩევის წესზე?***

– იგივე ხდება აქაც. თუ პარლამენტმა აირჩია პრეზიდენტი, გასაგებია, რომ პარლამენტში უმრავლესობა „ქართული ოცნებაა“ და ისინი აირჩევენ თავიანთ აქტივისტს. აქაც ჩნდება კითხვა – რატომ უნდა აკონტროლოს მთელი ქვეყანა, ყველა ინსტიტუტი ერთმა პოლიტიკურმა ძალამ?! ეს კითხვა ხომ ლოგიკურია, მით უმეტეს, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ არჩევნებში ხმების ნახევარი მიიღო. ჩნდება კითხვა: რამდენად ლეგიტიმური იქნება შემდგომ ეს ყველაფერი?!

***– უკანონო ცვლილებები ხორციელდება?***

– არა, ყველაფერი კანონის ფარგლებში კეთდება, მაგრამ მეორეა, რამდენად ლეგიტიმურია ეს ყველაფერი! რამდენად ჩათვლის ამას ხალხი სამართლიანად! საზოგადოება ამ კითხვას თუ უსვამს თავის თავს, კარგი იქნება.

***– ანუ ყველაფერი საზოგადოების აქტივობაზე იქნება დამოკიდებული?***

– რეალურად სხვა შემკავებელი ძალა არ არსებობს. პარლამენტში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს. საზოგადოებამ უნდა დაარწმუნოს „ქართული ოცნების“ ლიდერი, რომ, პირველ რიგში, ეს მათთვის არ იქნება კარგი და მეორეც – სახელმწიფოსთვის, ხოლო სხვა მათი შემკავებელი ძალა, ოპოზიცია, ფაქტობრივად, არ არსებობს.

***– ნაცმოძრაობა?***

– ნაცმოძრაობა ჯერჯერობით რჩება ძალად, რომლის ხელისუფლებაში დაბრუნებას ბევრი შეეწინააღმდეგება. ამ პარტიას წარმატების შანსი ჯერ კიდევ არ აქვს, მით უმეტეს, რომ შესაძლოა, საერთოდ დაიშალოს. ჩვენ ამ პროცესს ვხედავთ. სხვა ძლიერი ოპოზიცია არ არსებობს. ასე რომ, ვინ დარჩა? დარჩა საზოგადოების აქტიური ნაწილი.

***– რამდენად შეძლებს ეს აქტიური ნაწილი ბრძოლას? ან რა გამოუვა? არის ეს მუხტი, მზად არის საზოგადოება ამისთვის?***

– სიმართლე გითხრათ, ეს მუხტი ჯერჯერობით არ იკვეთება. საზოგადოება, როგორც ჩანს, ბოლო ოთხი წელია, მიძინებულია. ეს განაპირობა იმან, რომ „ქართულ ოცნებას“ განსაკუთრებულად არაფერი გაუფუჭებია, სერიოზული მტრები არ გამოსჩენია, არ ჩაუდენია ისეთი შეცდომები, როგორებიც ჩაიდინა ნაცმოძრაობამ, ვგულისხმობ ძალაუფლების გადამეტებას, კერძო საკუთრების წართმევას, წამებას ციხეებში და ასე შემდეგ. ამიტომ საზოგადოებაც მიძინებული და პასიურია.

***– წინ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ამ დროისათვის დასჭირდება ივანიშვილს, რომ „ქართული ოცნება“ ახალი შვილობილით ჩაანაცვლოს?***

– ჯერჯერობით შვილობილის გამოჩენა არ სჭირდება. ისევ და ისევ, თუ პოლიტიკური პარტია გაჩნდება საქართველოში, ჩვენ ლოგიკური შეკითხვა უნდა დავსვათ – საიდან ფინანსდება?! ეს არის სრულიად ლოგიკური და სამართლიანი კითხვა, რომლის დასმასაც ვერავინ აგვიკრძალავს.

***– რამდენად გვეტყვიან სიმართლეს, საინტერესოა.***

– ეგ სხვა თემაა, მაგრამ ჩვენ, მოქალაქეებს, გვაქვს ეჭვის საფუძველი და ამ კითხვის დასმის უფლება.

***– საუბრისას ნაციონალური მოძრაობა ახსენეთ. რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ამ პარტიაში?***

– პროცესი აშკარად მიდის პარტიის გახლეჩისკენ, რომელიც აღარ გაჩერდება. როგორც ჩანს, მხარეები ძალიან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს გარედან მშვენივრად ჩანს, იმავე სოციალური ქსელებიდან. როგორც ჩანს, ეს პარტია გაყოფას ვერ ასცდება, რაც მათთვის ტრაგიკომიკური იქნება.

***– ამით დაასრულებს ნაცმოძრაობა მოღვაწეობას?***

– შეიძლება, არ დაასრულოს, მაგრამ ძალიან დიდ ზიანს მიიღებს.

***– ვისი ფრთა აჯობებს, სააკაშვილისა თუ ბოკერიასი?***

– ყრილობაზე, წესით, სააკაშვილმა უნდა აჯობოს, რადგან მან გაიტანა თავისი პროექტი ყრილობისთვის. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სააკაშვილი ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ დარჩება.



# თებერვლის მეორე ნახევარში საქართველოში ვირუსების გავრცელების მატებაა მოსალოდნელი



თებერვლის მეორე ნახევარში საქართველოში ვირუსების გავრცელების მატებაა მოსალოდნელი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, ვირუსების გავრცელების მაჩვენებლით სეზონზე პიკი გასული წლის დეკემბერში (50-ე კვირაში) დაფიქსირდა და ერთი პიკი გადავლილია. მომდევნო მატება კი, სავარაუდოდ, თებერვლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი, თუმცა, პაატა იმნაძის განმარტებით, შემთხვევები იქნება გაცილებით ნაკლები, ვიდრე დეკემბერში იყო.

რაც შეეხება არსებულ სიტუაციას, პაატა იმნაძის მტკიცებით, „არაფერი განსაკუთრებული არ ხდება“ და ვითარება ზამთრისათვის დამახასიათებელია.

ამ ეტაპზე, ძირითადად ცირკულირებს A ტიპის H3 ვირუსი, დაფიქსირდა B ტიპის ვირუსის რამდენიმე შემთხვევა, ასევე გავრცელებულია სხვა, გაციების ვირუსებიც.

პაატა იმნაძე დაავადებულ მოსახლეობას სახლში დარჩენას ურჩევს და შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავს.

– თუ ბავშვს სიცხე აქვს ერთ დღეზე მეტი 38.5 გრადუსი და მეტი, აუცილებლად ექიმმა უნდა ნახოს, მოზრდილს თუ ტემპერატურა 38.5-ზე მეტი აქვს, ასევე აუცილებლად უნდა ნახოს ექიმმა. პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა ნახოს ექიმმა, თუ მას სუნთქვის გაძნელება აღენიშნება ან ნახველში სისხლი გამოერევა, – განმარტა პაატა იმნაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისში პიროტექნიკით 54 შემთხვევა დაფიქსირდა




ახალი წლის დღეებში თბილისში პიროტექნიკით მიღებული დაზიანებების გამო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახების 54 შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში განუცხადეს, 31 დეკემბერს, ასევე 1, 2 და 3 იანვრის 10:00 საათამდე, პიროტექნიკით მიღებული დაზიანებების გამო, თბილისში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა სწორედ 54 შემთხვევაში გამოიძახეს. მათივე განმარტებით, აქედან ორს, თითების ამპუტაციის გამო, ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. ისინი სრულწლოვნები არიან. სხვა დაშავებულებს კი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს. მათ უმრავლესობას, ძირითადად, სხეულის სხვადასხვა არეში დამწვრობა აღენიშნებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ახალი წლის დღეებში თბილისში ალკოჰოლით ინტოქსიკაცია 414-მა პირმა მიიღო, 116-ს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა



ახალი წლის დღეებში თბილისში ალკოჰოლით ინტოქსიკაციის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების 414 შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში განუცხადეს, 31 დეკემბერს, 1, 2 იანვარსა და 3 იანვრის 10:00 საათამდე დროის მონაკვეთში, ალკოჰოლით ინტოქსიკაციის გამო, თბილისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების 414 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 116-ს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. ამავე პერიოდში, საკვებით ინტოქსიკაციის გამო, 62 გამოძახება დაფიქსირდა. აქედან 23-ს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი სურათი არ არის სრული, რადგან, შესაძლოა, ზოგიერთმა პირმა სასწრაფო სამედიცინო დახმარება არ გამოიძახა, თვითმკურნალობას მიმართა ან საავადმყოფოში თავადვე მივიდა.

**ინტერპრესნიუსი**

# პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დროებით გადაიდო




პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დროებით გადაიდო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, დეკანოზმა კახაბერ გოგოტიშვილმა განუცხადა, აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ პატრიარქი არ გადაიღალოს.

– ყველანაირი ღონისძიება, ოპერაში გასამართი კონცერტი გაუქმებულია, მიღებებიც არ იქნება. მადლობა ღმერთს, რომ უწმინდესი კარგად არის და ბევრად უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, ვიზღვევთ თავს და დავასვენებთ. უწმინდესის საიუბილეო კონცერტისა და მიღებების გამართვა, სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის დაიგეგმება, – განაცხადა დეკანოზმა კახაბერმა.

მისივე თქმით, რაც შეეხება საშობაო მსახურებას, მას თავად უწმინდესი ჩაატარებს.

დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადების დღეა. პატრიარქი 84 წლის გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „უსუფაშვილი დაპირისპირებისკენ მოგვიწოდებს“

შორენა მარსაგიშვილი

**დავით უსუფაშვილის განცხადებამ პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომის შესახებ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ნასპიკერალის განცხადებაში არეულობისკენ მოწოდება ამოიკითხა.**







როგორც უსუფაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, თუკი „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესის შემოღებას გადაწყვეტს, შესაძლოა, გიორგი მარგველაშვილი გადადგეს, ქართველ ხალხს მიმართოს და მოსახლეობას მისცეს შანსი, პრეზიდენტი კიდევ ხუთი წლით, 2022 წლამდე ვადით აირჩიოს.

– თუ გიორგი მარგველაშვილი გადადგა, კონსტიტუციით დადგენილ 40 დღეში ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს. თუ ასეთ პირობებში გიორგი მარგველაშვილი ან ვინმე სხვა არასახელისუფლებო კანდიდატი არჩევნებში გაიმარჯვებს, მომავალი პრეზიდენტი პოლიტიკური წონის თვალსაზრისით სერიოზული ფიგურა გახდება. შესაბამისად, „ოცნებამ“ შეიძლება მიიღოს გაცილებით ძლიერი პრეზიდენტი და პოლიტიკური პრობლემებიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყება, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში.

## რას პასუხობს პრეზიდენტი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს

ნასპიკერალის განცხადებით აღფრთოვანებული არც გიორგი მარგველაშვილი დარჩენილა. მან უსუფაშვილის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება საჭიროდ არ მიიჩნია.

– დიდი ბოდიში, რა გიპასუხოთ, აბა? ჯერ ერთი, საკითხავია, რამდენად არის განსახილველი ეს საკითხი და მეორე, თუ კონკრეტულად გაინტერესებთ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ მაქვს კომენტარი. გინდათ, რომ პრეზიდენტმა გააკეთოს კომენტარი ვილაცის კომენტარზე? არასწორად მისვამთ კითხვას. მე კომენტარს ვილაცის კომენტარზე არ გავაკეთებ. არ მაქვს კომენტარი, არ არის განსახილველი საკითხი. არ მინდა კომენტარის გაკეთება თემაზე, რომელიც არ არის საკომენტარო, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მართალია, პრეზიდენტმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მაგრამ, რაც თქვა, იმაზეც განმარტებების გაკეთება გახდა საჭირო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, 3 იანვარს გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ კომენტარში პრეზიდენტი სიტყვა „ვილაცაში“ დავით უსუფაშვილს არ გულისხმობდა.

პარლამენტის ვიცესპიკერი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი მოწოდებად აფასებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის პროგნოზს პრეზიდენტის შესაძლო ვადამდელ გადადგომასთან დაკავშირებით.

– მოწოდებასავით გაჟღერდა. დანარჩენი დათოს ჰკითხეთ, მაგრამ მე ასე გავიგე. მე ვფიქრობ, რომ უსაფუძვლოა, არადროულია, არაკონსტრუქციულია და ქვეყნისათვის ნამდვილად დამაზიანებელი იქნება, თუკი ეს მოვლენები ასე განვითარდა.

ეს არის რაღაც ახალი დაძაბულობის, ახალი დაპირისპირებების სცენარისკენ მოწოდება და არა საექსპერტო ანალიზი, – განუცხადა ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ.

რაც შეეხება კითხვას, თუ ვის უნდა აწყობდეს მსგავსი სცენარი, ვიცესპიკერი ფიქრობს, რომ ეს, შესაძლოა, არარეიტინგული პოლიტიკური ძალების ინტერესის საგანი იყოს.

– იმ პარტიებისა და პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებსაც არჩევნებში გამარჯვების პერსპექტივა არ გააჩნიათ, შეიძლება, ასეთი სცენარი მისაღები იყოს, – ამბობს პარლამენტის ვიცესპიკერი.

## ბათუმში სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა მაღაზია დააყაჩაღა

ბათუმში ახალი წლის ღამეს სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა სუპერმარკეტში არსებული სავალუტო ჯიხური დააყაჩაღა. ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე თურქულ სუპერმარკეტ „იალჩინში“ კარზე მამაკაცმა ღამის 00:00 საათზე, იმ დროს დააკაკუნა, როცა ახალი წლის დადგომას ფეიერვერკებით აღნიშნავდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მაღაზიის მიმდებარედ მცხოვრებლებმა განუცხადეს, სანტა კლაუსის ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა სუპერმარკეტის თანამშრომლებს უთხრა, რომ ახალი წლის მისალოცად მივიდა, კარის გაღების შემდეგ კი იარაღის მუქარით ფული მოითხოვა.



– როგორც კი ფეიერვერკებით ახალი წლის დადგომის აღნიშვნა დაიწყო, კარზე დააკაკუნა სანტასფორმიანმა ახალგაზრდა კაცმა.

ახალ წელს გილოცავთო, გაუღეს კარი, შევიდა მაღაზიაში, ჯერ ახალი წელი მიულოცა თანამშრომლებს, მერე კი იარაღი ამოიღო, ფულს თუ არ მომცემთ, გესვრითო. თანამშრომლები პანიკაში ჩაცვივდნენ, სალაროში არსებული 40 ათას ლარამდე თანხა მისცეს, – აცხადებენ ადგილობრივები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით საქმე აღიძრა „სისხლის სამართლის კოდექსის“ 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. შსს-ს ცნობით, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი ჯერ დაკავებული არ არის.

**ინტერპრესნიუსი**

## ზურაბ ჯაფარიძე: „თუ არ დაგვაპატიმრებენ, ჩვენს ოფისში 81 ძირი კანაფი გაიზრდება“

– თუ არ დაგვაპატიმრებენ, რეალობა იქნება ისეთი, რომ ვერსად საქართველოში ადამიანებს კანაფის კულტივაციისა და პირადი მოხმარების გამო ვერ დააკავებენ, რადგან გაუგებარი იქნება, რატომ არ გვაკავებენ ჩვენ და აკავებენ უბრალო ადამიანს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „გირჩის“ თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძემ განუცხადა.

ჯაფარიძის თქმით, ახალი წლის ღამეს მარიხუანის დათესვის ფაქტზე შს სამინისტროს მხრიდან ამ დრომდე არ მომხდარა მასთან ან პარტიის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირება.

– შს სამინისტროს მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა გარდა იმ განცხადების, რაც ჩვენ საჯაროდ ვნახეთ, რომ დაიწყო გამოძიება. არავინ შემოგვხმიანებია, არც დაუკითხავთ ვინმე და არც ოფისში მოსულან უწყების წარმომადგენლები.

გულწრფელები რომ ვიყოთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს არ არის საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს შს სამინისტროს რომელიმე თანამშრომელმა, ან მინისტრის მოადგილემ, ან მინისტრმა – ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ იყო პოლიტიკური აქტი, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კონკრეტული გამოხატულებით, ამიტომ ხელისუფლებას პოლიტიკური გადაწყვეტილება აქვს მისაღები, ის ან წავა იმ გზით, რომ მოახდენს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას და საქართველო ამ მიმართულებით უფრო



ცივილიზებული ქვეყანა გახდება, ან, უბრალოდ, იმოქმედებს კანონის შესაბამისად და ამ შემთხვევაში მოუწევს ჩვენი დაპატიმრება.

ჩემი სუბიექტური აზრით, ის, რაც 31 დეკემბერს გავაკეთეთ, იქნება გარდამტეხი როგორც ნარკოპოლიტიკის ცვლილების მიმართულებით, ისე ზოგადად ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კონკრეტულად რას მოიმოქმედებს ხელისუფლება, ჩემთვის რთული სათქმელია, თუმცა, რა გზაც არ უნდა აირჩიოს, ჩვენთვის იქნება გამარჯვება.

შეიძლება, სცენარის განვითარება სამნაირად მოხდეს. პირველი: შესაძლოა, მოხდეს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია და, ცხადია, ეს იქნება ყველა იმ ადამიანისა და მოქალაქის გამარჯვება, ვინც ამ თემაზე მუშაობს და ამისთვის იბრძვის.

მეორე შემთხვევაში, შეიძლება, ჩვენ დაგვაპატიმრონ და ამ შემთხვევაში პროცესები მაინც დაჩქარდება და, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მაინც დასრულდება იმით, რომ საქართველო მიიღებს ცივილიზებულ კანონმდებლობას.

მესამე ვერსია, შეიძლება, იყოს ის, რომ არ დაგვაპატიმრონ და ამ შემთხვევაში ჩვენთან ოფისში გაიზრდება 81 ძირი კანაფი. თუ არ დაგვაპატიმრებენ, რეალობა იქნება ისეთი, რომ ვერსად საქართველოში ადამიანებს კანაფის კულტივაციისა და პირადი მოხმარების გამო ვერ დააკავებენ, რადგან გაუგებარი იქნება, რატომ არ გვაკავებენ ჩვენ და აკავებენ უბრალო ადამიანს, რომელიც თავის ეზოში ზრდის ერთ ან ორ ძირ კანაფს პირადი მოხმარებისთვის, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

2016 წლის 31 დეკემბერს „გირჩის“ ოფისში ახალი პოლიტიკური ცენტრის წევრებმა, მოხალისეებთან ერთად, საჯაროდ, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე დათესეს. აღნიშნულთან დაკავშირებით შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტზე, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 265-ე მუხლით დაიწყო, რომელიც პატიმრობას 12 წლამდე ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

## მაია რჩეულიშვილის სასამართლო საქმის განხილვა, შესაძლოა, საავადმყოფოში გაგრძელდეს

„ცენტრ პოინტის“ საქმის ე.წ. ბათუმის მაგნოლიის ეპიზოდის სასამართლო განხილვები, შესაძლოა, საავადმყოფოში გაგრძელდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მაია რჩეულიშვილის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ განუცხადა, საქმეზე ბრალდებულს, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელ მაია რჩეულიშვილს სასამართლო განხილვებში მონაწილეობა სურს, რის გამოც, თუ ექიმები სასამართლოს ნებას დართავენ, განხილვები საავადმყოფოში ჩატარდება.



ცუცქირიძის განცხადებით, სასამართლო ვალდებულია, ბრალდებულის გარეშე არ ჩაატაროს პროცესები, რის გამოც ან უნდა დაელოდოს მის გამოჯანმრთელებას და შემდეგ გაგრძელდეს საქმის განხილვა, ან, ექიმების თანხმობის შემთხვევაში, სხდომები საავადმყოფოში ჩაატაროს.

– მაიას აღარ აქვს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს იმედი მას შემდეგ, რაც მოსამართლემ სამედიცინო საბუთებზე დაყრდნობით არ დააკმაყოფილა მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა. აქედან გამომდინარე, სურვილი გამოთქვა, დაესწროს პროცესებს და მოწმეთა დაკითხვაში მიიღოს მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ უნდა დაიკითხონ მნიშვნელოვანი მოწმეები, – განაცხადა მარიამ ცუცქირიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ბახტრიონზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს



ბახტრიონის ქუჩაზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედება. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხაა წაღებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, გამოძიება 2 მუხლით მიმდინარეობს. 179-ე ყაჩაღობის მუხლით და 236-ე, რაც იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია ეჭვმიტანილის დაკავებასთან დაკავშირებით, თუმცა ჯერჯერობით შსს აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# 2017 წლის აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლების 46,6% რუსეთიდან მიღებული ფინანსური დახმარება იქნება

მარიამ მჭედლიშვილი

**2017 წელი რთული უნდა იყოს ანექსირებული აფხაზეთისათვის. წელს უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები. ამის გამო მოსალოდნელია პოლიტიკური დაპირისპირება. თუმცა, შესაძლოა, საქმე ისეთ კრიზისამდე არ მივიდეს, როგორც ეს 2016 წელს იყო, როცა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ოპოზიციამ რამდენჯერმე მოუწოდა გადადგომისაკენ. პირველი შემოტევები ხაჯიმბამ რეფერენდუმის დანიშვნით, მოგვიანებით კი, ამ რეფერენდუმის ჩაშლით მოიგერია. რეფერენდუმს უნდა გაერკვია, უნდა თუ არა მოსახლეობას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ოპოზიციური ძალების ბლოკის მეორე შტურმი წლის ბოლოს მოხდა. ხაჯიმბამ სიტუაცია მოლაპარაკებებით განმუხტა. ქუჩაში გამოსული ოპოზიცია დათანხმდა ვიცე-პრემიერის, გენპროკურორის პოსტებს, ასევე ადგილებს ცესკოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში, უწყებების ხელმძღვანელების მოადგილეების თანამდებობებს.**



ექსპერტების აზრით, იმ ოპოზიციას შორის, რომელიც კომპრომისზე წავიდა, არ არიან ხაჯიმბას წინამორბედის – ალექსანდრე ანქვაბის მომხრეები და ისინი მოგვიანებით რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამენ.

არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთის ოპოზიციის ბოლოდროინდელი აქტივობა განპირობებულია რუსეთიდან მისაღებ თანხებზე კონტროლის სურვილით. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ სრულად ვერ აითვისა 2016 წლის მისაღები ფული. საუბარია საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ თანხებზე, რომელიც 2017 წლის ჩათვლით ხორციელდება და ხმარდება სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ოპოზიციამ მოინდომა რუსული ფინანსების ზედამხედველობა. ეს თანხები გაუმჭვირვალედ იხარჯებოდა. აფხაზური მხარე კი ვერ ახერხებდა საინვესტიციო გეგმების დაწერას. თანამდებობების მიღებით ოპოზიცია დაფინანსების გაკონტროლებას შეძლებს.

## წელს აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი

მიმდინარე წლის აფხაზეთის ბიუჯეტი, ჩვეულებისამებრ, რუსეთის ფინანსური დახმარებით დაიგეგმა.

აფხაზეთის 2017 წლის ბიუჯეტის თანახმად, აფხაზეთის საკუთარი შემოსავლები 5 მილიარდ 441 მილიონ 790 ათასი რუბლი იქნება. რუსეთიდან დაგეგმილია 4 მილიარდზე მეტი რუბლის მიღება ფინანსური დახმარების სახით.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია საერთაშორისო საქმიანობაც. ანექსირებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ასახელებენ საერთაშორისო აქტიურობას და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მსოფლიოში. ისინი პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ აფხაზ სპორტსმენებსა და მსახიობებს არ უშვებენ საზღვარგარეთ.

აფხაზეთში დიდ გარღვევად თვლიან რამდენიმე თვის წინ თურქეთში გამომცემლობა საბაჰის მიერ გამოშვებულ გაზეთს, რომელშიც აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო წარმოჩენილი. აფხაზეთის წარმომადგენლობა თურქეთში აცხადებს, რომ გაზეთის შემდეგი ნომრებიც დაიბეჭდება.

– ჩვენ საგრძნობლად წავიწიეთ წინ მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობის გზაზე, – აცხადებს რუსეთის პრემიერი დიმიტრი მედვედევი აფხაზი კოლეგა ბესლან ბარციცისადმი გამოგზავნილ საახალწლო მიმართვაში.

აფხაზეთს მოძმე ქვეყანას უწოდებს თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტი ბაკო საჰაკიანი. საახალწლო გზავნილში იგი აცხადებს, რომ მთიანი ყარაბაღი გულწრფელადაა დაინტერესებული აფხაზეთის სახელმწიფოებრიობითა და განვითარებით.

# სიღნაღის ყოფილ გამგებელსა და მის მოადგილეებს ხელფასი თანამდებობის დატოვების შემდეგაც მისცეს

სიღნაღის ყოფილ გამგებელს და მის მოადგილეებს ხელფასი თანამდებობის დატოვების შემდეგაც მისცეს. სიღნაღის ყოფილ გამგებელ რამაზ პოპიაშვილს და მის მოადგილეებს, რომლებსაც უფლებამოსილება 2014 წლის ივლისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით შეუწყდათ, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 10 300 ლარი ჩაურიცხეს. ამ თანხიდან 8 000 ლარი „შვებულების გამოუყენებლობის" გამო გაიცა, რაც მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

2016 წლის 14 დეკემბერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმების ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც 2014-2015 წლების პერიოდს მოიცავს.

აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად საჯარო რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის არაერთი ფაქტი გამოვლინდა.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2014 წლის ივლისში, ყოფილ გამგებელს რამაზ პოპიაშვილს, გამგებლის მოადგილეებს – ბერდო ასანიშვილს, ნუგზარ ბურდულს და რამაზ გოზალიშვილს, ასევე ერთ-ერთ შტატგარეშე მოსამსახურეს (მძღოლს) სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მუნიციპალიტეტმა გადაურიცხა 10 300 ლარი.

თანხის ჩარიცხვის საფუძველი იყო იმავე პირების განცხადება, რათა თანამდებობების დატოვების შემდეგ გამგეობას მოეხდინა მათთან საბოლოო ანგარიშსწორება. ჩარიცხული თანხიდან უშუალოდ შრომის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი იყო 2.300 ლარი, ხოლო დანარჩენი 8.000 ლარი გაიცა როგორც გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს მიიღოს შრომითი გასამრჯელო მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, ხოლო გამოუყენებელი შვებულებისთვის რაიმე დამატებით ანაზღაურებას კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს.

2015 წლის 27 თებერვალს გამგეობამ სასამართლოს მიმართა და უკანონოდ გაცემული თანხების უკან დაბრუნება მოითხოვა. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გამგეობის მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის ბიუჯეტში მხოლოდ 1.300 ლარის დაბრუნება მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი გამგებლის მოადგილეებიდან ბერდო ასანიშვილი დღემდე იმავე პოზიციაზე მუშაობს, ხოლო ნუგზარ ბურდულს გამგეობაში იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობა უკავია.

2015-2016 წლებში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში მათ მიერ არასწორად მიღებული თანხების უკან დაბრუნების შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პერიოდში ბერდო ასანიშვილს გასამრჯელოს სახით 36.400 ლარი აქვს მიღებული (მათ შორის, 5.200 ლარი პრემიის სახით), ხოლო ნუგზარ ბურდულს – 29.100 ლარი (აქედან 5.100 ლარი პრემია).

გარდა ამისა, აუდიტის დასკვნაში მითითებული სხვა კანონდარღვევების შესახებაც, რომელთა არასრული ჩამონათვალი ასეთია:

– 2014 წელს სიღნაღის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა ერეკლე მეორის ქუჩისა და ჩიხის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საერთო ღირებულებით 212.700 ლარი. ერეკლე მეორის ქუჩაზე დაგებული ასფალტო-ბეტონის საფარი მთელ სიგრძეზე დაზიანებულია, რაც გამოწვეულია 2016 წელს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ განხორციელებული წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროცესში დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენას, მუნიციპალიტეტს კომპანიისთვის არ მიუმართავს დაზიანებული ასფალტის შეკეთების მოთხოვნით.

– 2014-2015 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 470 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწას და 12 შენობა-ნაგებობას იყენებდნენ არაუფლებამოსილი პირები, რომლებსაც მუნიციპალიტეტთან არ ჰქონდათ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები და არ იხდიდნენ საიჯარო ქირას. მათ შორისაა „ადვოკატების ოფისი" ქალაქ სიღნაღში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული „ლიბერთი ბანკის" ოფისები.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ გამგეობამ ხელშეკრულებები გააფორმა და იჯარით გასცა 2 ობიექტი, საიდანაც ქირის სახით მისაღები შემოსავლები წლიურად შეადგენს 3.600 ლარს. კერძო აუდიტის შეფასების მიხედვით, დანარჩენი ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს ქირის სახით ყოველწლიურად დამატებით უნდა მიეღო 31.700 ლარზე მეტი შემოსავალი.

– 2014-2015 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 127 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 1.496.000 ლარის სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში გამგეობა არ ითხოვდა მიმწოდებლებისგან ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციას, რაც წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა დახარჯული. მხოლოდ აუდიტის ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, გამგეობამ მიმწოდებლებისგან მოითხოვა დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, მაგრამ ეს დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

– 2014-2015 წლებში იურიდიული პირებისგან მისაღები დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრული იყო 112.200 ლარით, ფაქტობრივად კი ამოღებულ იქნა მხოლოდ 25.600 ლარი, ანუ 23 %.

– 2014 წელს ქვემო მაჩხაანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამგეობამ არასწორად გაიანგარიშა მიმწოდებელზე – შპს „კლოტოიდა 2009"-ზე დასარიცხი ჯარიმა და ნაცვლად 61.500 ლარისა, იგი დააჯარიმა 44.000 ლარით, რის გამოც მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი შემოსავალი 17.500 ლარის ოდენობით.

– 2014-2015 წლებში სამი ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებს (შპს „გუმბათი", შპს „ბურჯი+", შპს „თელა") მიწოდების ვადების დარღვევისათვის არ დაარიცხა პირგასამტეხლო – ჯამში 46.000 ლარის ოდენობით.

– 2014 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ორი ხელშეკრულება სანიაღვრე არხისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, – საერთო თანხით 27.000 ლარი. გამგეობამ მიმწოდებელს დაგვიანებით გადაურიცხა შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რის შედეგადაც, სამუშაოების ღირებულებასთან ერთად, მუნიციპალიტეტს დამატებით მოუწია პირგასამტეხლოს გადახდა, – ჯამში 6.900 ლარის ოდენობით.



– 2014-2015 წლებში სიღნაღის საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე გაცემულია 52.000 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მითითებული არ არის გადაეგზავნა თუ არა იგი შემდგომი რეაგირებისათვის საგამოძიებო ორგანოებს, თუმცა აშკარაა, რომ ზოგიერთი სამართალდარღვევა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ქუთაისის „ტორპედო" აუქციონზე გაიყიდება



ქუთაისის „ტორპედო" აუქციონზე გაიყიდება.

ამის შესახებ ინფორმაციას სპორტული ვებგვერდი Sportall.ge ავრცელებს. აუქციონის საწყისი ფასი 700.000 ლარია.

როგორც ქუთაისის მერიაში აცხადებენ, „ტორპედოს" აუქციონის საწყისი ფასი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ დადო.

– მერიამ მცირე ხნის წინ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ხელშეკრულება გააფორმა „ტორპედოს" შესაფასებლად. ექსპერტიზამ „ტორპედო" 700.000 ლარად შეაფასა და სწორედ ეს იქნება აუქციონზე საწყისი ფასი, – აცხადებენ ქუთაისის მერიაში.

გავრცელებული ინფორმაციით, „ტორპედოს" შეძენა ბიზნესმენ ზაალ ჩაჩავას სურს, რომელიც ქუთაისში უფასო აკადემიის აშენებას გეგმავს და მზადაა, კლუბი წლიურად 500.000 ლარით დააფინანსოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ავტომობილზე ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება ძალაში შევიდა



წელიწადში 40 ათას ლარზე მეტი შემოსავლის ოჯახებს ავტომობილზე ქონების გადასახადის გადახდა მოუწევთ.

შესაბამისი ცვლილებები ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

ოჯახებს, რომლებსაც 40 ათას ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა მანქანის ასაკის მიხედვით მოუწევთ.

1 წლამდე ავტომობილებზე – 500 ლარი
1-დან 5 წლამდე ავტომობილებზე – 240 ლარი
5-დან 10 წლამდე ავტომობილზე – 120 ლარი
10 წლის ზემოთ ავტომობილებზე – 60 ლარი

40 ათას ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირთა ავტომანქანების ქონების გადასახადის დაწესებით მთავრობა საშემოსავლო ნაწილის დაახლოებით 3 მილიონი ლარით გაზრდას ელოდება.

**მედიანიუსი**

# ვახტანგ მაისაია: „ტრამპმა, შესაძლოა, რუსეთს სანქციები მოუხსნას“

გულიკო ბალაძე

როგორი იყო გასული წელი მსოფლიოსთვის და რას ემსახურებოდა ამერიკული დელეგაციის (მაკეინის) ვიზიტი საქართველოში. ამ და სხვა საკითხებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აანალიზებს.

***– ბატონო ვახტანგ, როგორი იყო 2016 წელი საქართველოსა და მსოფლიოსთვის?***

– 2016 წელი მსოფლიოსთვის ძალიან რთული იყო. ჩვენ ვიხილეთ საკმაოდ სერიოზული კონფლიქტები სირიაში, უკრაინაში და საკმაოდ სერიოზული დაძაბულობა დასავლეთსა და რუსეთს შორის, გამოიკვეთა ახალი ცივი ომის პარამეტრები, ჩატარდა ამერიკისთვისაც უჩვეულო არჩევნები, რომელმაც შეიძლება, ძირფესვიანად შეცვალოს ურთიერთობები. ეს ყველაფერი ქმნის დაძაბულ ფონს 2017 წლისთვის.

***– რა კუთხით შეიძლება შეცვალოს ურთიერთობები?***

– ეს გამოჩნდება. რუსეთშიც და ამერიკაში, შიგნითაც დაძაბული სიტუაციაა. სკანდალი, რომელიც ეხება რუსეთის სპეცსამსახურების ქმედებას, რომელმაც გავლენა მოახდინა ამერიკის პრეზიდენტის არჩევაზე და ჰაკერული შეტევების შედეგად ტრამპის გამარჯვებას ხელი შეუწყო, საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა. ეს ნიშნავს, რომ ამერიკაში მზადდება პოლიტიკური გადატრიალება, რაც უცხო ხილია ამერიკისთვის. გადატრიალებები ევროპისთვის შეიძლება არ იყოს უჩვეულო, მაგრამ ამერიკისთვის უჩვეულო სიტუაციაა.

***– ანუ, თუ დამტკიცდება, რომ ამერიკის პრეზიდენტის არჩევაზე რუსეთმა გავლენა მოახდინა***

– ტრამპის ლეგიტიმურობა, უფლებამოსილება ეჭვის ქვეშ დადგება. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს პოლიტიკურ გადატრიალებას. 6 იანვარი არის მნიშვნელოვანი დღე, რადგან ამ დღეს კონგრესმა უნდა დაამტკიცოს არჩევნების შედეგები. 20 იანვარს კი ინაუგურაციაა. ვნახოთ, რა მოხდება. ამ ეტაპზეც მსოფლიოში დაძაბული სიტუაციაა, სტამბოლში მოხდა სასტიკი ტერაქტი. 40 ადამიანი დაიღუპა, 70-ზე მეტი ადამიანი დაჭრილია. თავდასხმა დისკოთეკაზე მოხდა, რომელზეც პასუხისმგებლობა ისლამურმა სახალიფომ აიღო.

***– იმ პროცესებიდან, რომლებიც 2016 წელს მიმდინარეობდა (ვთქვათ, სირიაში და სხვაგან, რუსეთის როლის გათვალისწინებით ამერიკის არჩევნებში), რუსეთი გაძლიერებული გამოვიდა?***

– დიახ, ეს ბარაკ ობამამაც აღიარა, თქვა, რუსეთი უკვე არის სახელმწიფოო. რუსეთი გადაიქცევა გავლენის ცენტრად.

***– ობამას რეაქციამ ხომ არ დაიგვიანა? ბოლო გაბრძოლება გამოუვიდა.***

– გეთანხმებით. ობამას მხრიდან ერთგვარი ბოლო გაბრძოლება იყო. როგორც ჩანს, ობამამ იცის, რომ ტრამპმა შეიძლება გადაწყვეტილებები შეცვალოს. ტრამპმა თქვა, ობამას გადაწყვეტილებებს გადავხედავ და შევცვლიო. არ არის გამორიცხული, ტრამპმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მოხსნას.

***– ასეთი გადაწყვეტილება და დამოკიდებულება რა შედეგს მოიტანს?***

– ასეთი გადაწყვეტილებით ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები დასტაბილურდება. როგორც ჩანს, ტრამპი შეეცდება, ამერიკის საგარეო პოლიტიკაში მოხსნას დაძაბულობა, რომელიც წინა წლებში განვითარდა. საუბარია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებზე.

***– ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედება და ახალი დაძაბულობის კერის წარმოქმნა, ტრამპის შეცდომა (რომელიც შეიძლება პრეზიდენტის რანგში დაუშვას) არ იქნება?***

– ჩინეთი ამერიკის მთავარი ეკონომიკური კონკურენტია. ჩანს, ტრამპმა აიღო ორიენტაცია ეკონომიკური უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებაზე, ვიდრე პოლიტიკური უსაფრთხოებისა. ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით ამერიკისთვის ჩინეთი რჩება მთავარ გამოწვევად. ამერიკას ყველაზე დიდი ვალი ჩინეთის აქვს. ჩინური კომპანიები ძალიან აქტიურად ოპერირებენ ამერიკულ ბაზარზე. ჩინურმა საქონელმა, ფაქტობრივად, წალეკა ამერიკის ბაზარი. შესაბამისად, ამერიკული ბიზნესი დეგრადაციის მდგომარეობაშია. ამ ეტაპზე ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ჩინური კაპიტალისა და ჩინური ინვესტიციების წილი ყველაზე დიდია ამერიკის როგორც საფინანსო, ისე სავაჭრო ურთიერთობების სფეროში. ამიტომ ჩინეთი ამერიკის ბუნებრივი მოწინააღმდეგე გამოდის ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის კონტექსტში და ამერიკა, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, შეეცდება ააღორძინოს ევროპული ბიზნესსტრუქტურები, შექმნას სამუშაო ადგილები. ის, რომ დღეს დოლარის კურსი სტაბილური გახდა, დოლარი გაძვირდა, ამერიკული ეკონომიკური სტრატეგიის შეცვლის ნიშანია.



***– ობამას პრეზიდენტობის პერიოდი ხასიათდებოდა ირანის წინააღმდეგ, ირანში ატომური სადგურების ნეიტრალიზებისთვის ბრძოლით. ირანი უკვე აღარ წარმოადგენს საფრთხეს?***

– ობამას ადმინისტრაციამ სხვადასხვა ტიპის შეთანხმება დადო ირანთან, თუმცა მის მიმართ მაინც აგრესიული იყო. ირანის მიმართ ეკონომიკური სანქციები სხვა სახელმწიფოებმა მოხსნეს, ამერიკელებმა კი – არა. ამიტომ ამერიკა-ირანის ურთიერთობები, ჟენევის მოლაპარაკებების მიუხედავად, მაინც დაძაბული რჩება. ტრამპს ირანის მიმართ არცერთი კომენტარი არ გაუკეთებია. როგორი იქნება ამერიკის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა ირანის მიმართ, გაურკვეველია. ცოტა გამიჭირდება გავაანალიზო, როგორ გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ირანი ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორია.

***– რუსეთის პარტნიორიც ხომ არის?***

– დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ჩინეთია, რადგან ტრამპს ჩინეთზე აქვს ორიენტაცია აღებული და არა – რუსეთზე.

***– ტრამპს უნდა, ჩინეთ-რუსეთ-ირანის პარტნიორული ურთიერთობა ჩაშალოს? თუკი ტრამპი რუსეთთან ურთიერთობას დაათბობს, ხოლო ჩინეთთან გაამწვავებს, ამერიკა ამით რას მოიგებს?***

– ობამამ რუსეთთან საერთოდ გაწყვიტა პარტნიორული ურთიერთობები.

***– თუმცა თავიდან ობამამაც გადატვირთვის პოლიტიკით დაიწყო.***

– დიახ, მაგრამ შემდეგ უკრაინისა და სირიის მოვლენებმა შეცვალა დამოკიდებულება. ამ მიმართულებით სიტუაცია საინტერესოა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრამპი შეცვლის ურთიერთობებს. ის უფრო ჩინეთთან ურთიერთობების გამწვავებაზე გაამახვილებს ყურადღებას, შეეცდება, რუსეთთან დაათბოს ურთიერთობები. ეს იქნება ობამას პოლიტიკის საპირისპირო დამოკიდებულება და შეიქმნება კონფრონტაციული მდგომარეობა.

***– სირიასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში წარმოებულ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებას როგორ აფასებთ?***

– შეთანხმებას მიაღწიეს თურქეთ-რუსეთის სპონსორების მეშვეობით. სირიის ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენლებს თურქეთი მფარველობდა. მათი მეშვეობით მოხდა შეთანხმების გაფორმება. ზომიერი ოპოზიციის 60 ათასმა მეომარმა თანხმობა განაცხადა, იარაღი დაეყარათ და დაეწყოთ მოლაპარაკებები ასადის რეჟიმთან, თუმცა არის მეორე ნაწილი, რომელიც ამას არ ეთანხმება. ისინი ჯერჯერობით იკრიბებიან იდლიბის რაიონში. ჩანს, იდლიბი გახდება ახალი დაპირისპირების ცენტრი. ამ ეტაპზე მეტნაკლებად სრულდება შეთანხმებაც, რომელსაც 29 დეკემბერს მიაღწიეს.

***– მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების თამაშები გავლენას ახდენს საქართველოს ცხოვრებაზე. ახლახან საქართველოს სტუმრობდნენ ამერიკელი კონგრესმენები – ცნობილი მაკეინი – მნიშვნელოვანი კომიტეტის (შეიარაღების) თავმჯდომარე. რას შეიძლება ემსახურებოდეს მათი ტურნე ბალტიისპირეთში, უკრაინასა და საქართველოში ტრამპის ინაუგურაციის წინ?***

– მაკეინი და მისი გუნდი იმყოფებოდნენ იმ ქვეყნებში (ესტონეთში, უკრაინასა და საქართველოში), რომელთა მიმართ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს. არ ვიცი, მაკეინისა და მისი ჯგუფის ვიზიტი შეთანხმებული იყო ტრამპთან თუ არა. როგორც ვიცი, მაკეინი დაპირისპირებულია ტრამპთან და მის მოსაზრებებს არ იზიარებს. ეს არის ნეოკონსერვატორების ჯგუფი, რომელიც ავითარებს იმ იდეებს, რომლებსაც ახლა ობამა ახორციელებს.

***– დელეგაციაში ორივე მთავარი პარტიის წარმომადგენლები რომ შედიოდნენ?***

– მაკეინთან ერთად იმყოფებოდნენ ისინი, ვინც ტრამპის იდეებს არ იზიარებს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რა მესიჯებს მოიცავდა მათი ვიზიტი. როგორც ჩანს, მაკეინის ჯგუფს აინტერესებდა ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება ტრამპის ადმინისტრაციის მიმართ. მაკეინის ვიზიტი იმას ნიშნავდა, რომ ამერიკა არ მიატოვებს საქართველოს, უკრაინასა და ესტონეთს.

## მრგვალ ბაღში ვანდალიზმი განხორციელდა

თბილისის ცენტრალურ უბანში, ვაკეში, მრგვალ ბაღში ვანდალიზმი განხორციელდა.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, საინიციატივო ჯგუფმა „წრე“ სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა:

– დღეიდან, მრგვალი ბაღი თქვენ მიერ გამომუშავებული ენერგიით განათდება! დაატრიალე ველოსიპედი და გაანათე ბაღი!

ამ სასიამოვნო სიახლეს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ბედნიერება მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ერთი დღის განმავლობაში მოიპარეს და დააზიანეს ველოსიპედები, ასევე საახალწლო განათებები და ეგრეთწოდებული



„დინამოები“, რომლებიც ენერგიას გამოიმუშავებდა:

– ძალიან გვიხარია, რომ თქვენ მიერ გამომუშავებული ენერგიით მრგვალი ბაღის საახალწლოდ განათების ინიციატივას ასეთი დადებითი, მასშტაბური გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა სამწუხაროდ, რამდენიმე ადამიანმა ეს პროექტი საფრთხის ქვეშ დააყენა.

ერთი დღის განმავლობაში მოიპარეს, დააზიანეს ველოსიპედები, საახალწლო განათებები და ეგრეთწოდებული „დინამოები“, რომლებიც ენერგიას გამოიმუშავებდა. ამის შემდეგ იძულებული გავხდით, ინსტალაციის დარჩენილი ნაწილი ჩვენ თვითონვე მოგვეხსნა.

აქვე გვინდა გითხრათ, რომ ეს ამბავი ვერ შეუშლის ხელს ჩვენს სამომავლო გეგმებს და წლის განმავლობაში არაერთ მსგავს პროექტს შემოგთავაზებთ, – ნათქვამია ინიციატივის ავტორთა მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ებრაელი სამხედრო ქალების აკაუნტი ჰიტად იქცა



ინსტაგრამში პოპულარობას იხვეჭს აკაუნტი, რომელზეც ებრაელი სამხედრო მოსამსახურე ქალების ფოტოსურათები ქვეყნდება. გვერდს ისრაელ არმი გერლსს 40 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მიკრობლოგის ავტორებმა ორი ათასზე მეტი ებრაელი სამხედრო მოსამსახურე ქალის ფოტოსურათებს მოუყარეს თავი. მათ იპოვეს გოგონების აკაუნტები შესაბამისი ჰეშტეგებით და გეოტეგებით, შემდეგ კი მათი საუკეთესო ფოტოები გამოაქვეყნეს.

გვერდზე წარმოდგენილია სამხედროების არა მხოლოდ სამსახურის დროს გადაღებული ფოტოები, არამედ სურათები გადაღებული არაფორმალურ ვითარებაში, დასვენების დროს, სახლში ტანზე შემოტმასნილ ჩასაცმელში, ან ზღვაზე ბიკინიში გადაღებული.

## ტასმანიაში ზღვის კატამ ავტომობილი დაამტვრია

ავსტრალიის ტასმანიის შტატის ქალაქ ლონსესტონში ზღვის კატა ერთ-ერთ გაჩერებულ ავტომობილზე აბობღდა, ჩაამსხვრია წინა საქარე მინა და სახურავი დაკაწრა.

სავარაუდოდ, ზღვის ცხოველი ქალაქში მცირე არხების გავლით მოხვდა და ის ამ ცხოველების ტრადიციული საბინადრო ადგილებიდან 50 კილომეტრის დაშორებით აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ზღვის კატამ მანქანა დააზიანა, იქვე მახლობლად მდებარე სახლის ეზოში შეაღწია და წათვლიმა.

პოლიციის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლებმა ცხოველის ფოტოსურათები ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსეს. როგორც სურათებისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ზღვის კატას ვეტერინარულ დახმარებას აღმოუჩენენ, რის შემდეგაც გარეული ცხოველების დახმარების სამსახური მას მის საბინადრო ადგილას დააბრუნებს.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ტერაქტი სტამბოლში: მკვლელი ისროდა და იცინოდა





სტამბოლის ტერაქტმა მთელი მსოფლიო შეძრა. დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადეს ბარაქ ობამამ, ტერეზა მეიმ, ანგელა მერკელმა, ვლადიმერ პუტინმა. აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მომხდარს არნახული ვანდალიზმი უწოდა:

– თავდასხმა სტამბოლში კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მწვავედ დგას საერთაშორისო ტერორიზმის საკითხი, – თქვა ტრამპმა.

ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“ სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თურქეთის არმია „დასავლელ ჯვაროსნებთან“ ერთად ჭეშმარიტი მუსლიმანების წინააღმდეგ იბრძვის, რასაც თურმე არაერთი სიცოცხლე შეეწირა.

– სტამბოლის ღამის კლუბზე თავდასხმა შურისძიების აქტი იყო! ასეთი აქციები კიდევ არაერთგზის გამეორდება, – იმუქრებიან ექსტრემისტები.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს აზრით, ტერაქტი გულდასმით იყო დაგეგმილი. შემთხვევითი არც ისაა, რომ ტერორისტებმა სამიზნედ ხსენებული ღამის კლუბი შეარჩიეს. ის ახალგაზრდობის თავშეყრის საყვარელი ადგილია. აქ ხშირად მოდიან ცნობილი მწერლები, პოეტები, სპორტსმენები, ბიზნესმენები. ახალი წლის ღამესაც კლუბში უამრავი სტუმარი იყო, მათ შორის უცხოელებიც.

– ტერორისტებს სურდათ, რაც შეიძლება ხმაურიანი აქცია განეხორციელებინათ და მათ ეს შეძლეს, – ამბობს სოილუ.

უშუალოდ ტერაქტის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქი ფეხბურთელი სეფა ბოიდასი. ის ტერაქტის უშუალო მოწმე გახდა. ფეხბურთელი აცხადებს, რომ თავდამსხმელნი ორნი იყვნენ და ერთ-ერთს სანტაკლაუსის ტანისამოსი ეცვა. ტერორისტმა კლუბის სტუმრებს ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გაუხსნა.

– ის ისროდა და თან იცინოდა, – აცხადებს სპორტსმენი.

კლუბში საშინელი პანიკა ატყდა. ზოგიერთი სტუმარი ფანჯრიდან გადახტა, რათა თავისი თავისთვის ეშველა. კლუბი ბოსფორის სანაპიროზეა განთავსებული. მათ, ვინც ფანჯრიდან გადახტა, წყალში მოადინეს ტყაპანი, თავად კლუბში კი ერთმანეთში აირია სროლა, ყვირილი, კვნესა.

– ტერორისტი სროლას განაგრძობდა, თან ხმამაღლა იცინოდა, – ამბობს ბოიდასი.

თავდამსხმელმა გაქცევა შეძლო. ის ბრბოს შეერია და იქაურობას გაეცალა, ადგილზე კი 39 გვამი დატოვა. 70-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა. დაღუპულთა შორის 16 უცხოელია. ისინი საფრანგეთის, ბელგიის, ლიბიის, ისრაელის, საუდის არაბეთის მოქალაქენი არიან. თურქეთის პოლიცია მკვლელებს დაეძებს. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, პოლიციას მკვლელის ფოტო უკვე აქვს. სავარაუდოდ, ის უზბეკეთის ან ყირგიზეთის მოქალაქეა, კლუბთან ტაქსით მივიდა, შიგ შეაღწია და სროლა ატეხა. ის ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

სირიის ტერიტორიაზე კი კვლავაც დაუსჯელად ფუნქციონირებს ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო.

# მაკეინი: „პუტინი უკრაინას ვერაფერს დააკლებს!“

დონბასში ჩასული ამერიკელ სენატორთა დელეგაცია მოწინავე ხაზზე გავიდა. ჯონ მაკეინი უკრაინელ ჯარისკაცებს პირადად გაესაუბრა. მან აღფრთოვანება გამოთქვა უკრაინელი მეომრების საბრძოლო შემართებისა და პატრიოტიზმის გამო.

– პუტინი უკრაინას ვერაფერს დააკლებს! – თქვა მაკეინმა.



სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ იყო უკრაინის სტრატეგიული პარტნიორი და ასეთად დარჩება. მაკეინმა აღნიშნა, რომ როგორც დონბასი, ისე ყირიმიც რუსი ოკუპანტებისაგან გათავისუფლდება.

# ტრამპი და კონგრესი: დაპირისპირება დაიწყო



დონალდ ტრამპის თანაშემწე შონ სპაისერმა განაცხადა, რომ ტრამპი ობამას განკარგულებების უმრავლესობას გააუქმებს. სპაისერმა ხაზი გაუსვა, რომ ტრამპსა და ობამას შორის პრინციპული ხასიათის უთანხმოებანია.

– ეს, უწინარეს ყოვლისა, მიგრაციულ და საგარეო პოლიტიკას შეეხება, – თქვა სპაისერმა.

ტრამპის თანაშემწემ არაადეკვატური უწოდა გადაწყვეტილებას აშშ-დან 35 რუსი დიპლომატის გაძევების შესახებ. ჟურნალისტების შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ტრამპი რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას, სპაისერმა მიუგო:

– ჩვენ ამაზე ვიფიქრებთ!

კონგრესში პასუხის გაცემა არ დააყოვნეს. კონგრესმენმა შიფმა (დემოკრატიული პარტია) განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების დაწესებაა აუცილებელი.

– თუკი ტრამპი სანქციებს გააუქმებს, ჩვენ დამატებით სანქციებს შემოვიღებთ. ამ საკითხში როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელებს შორის სრული ერთსულოვნებაა, – თქვა შიფმა.

ცნობილი ექსპერტი ალან ლიჰტმანი იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომელმაც არჩევნებში ტრამპის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. ის მიიჩნევს, რომ ტრამპის არჩევა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე გავლენას არ მოახდენს. ექსპერტის აზრით, თუკი ტრამპმა რუსეთის მიმართ პრინციპულ დათმობებზე წასვლა მოისურვა, კონგრესი ამის საშუალებას არ მისცემს.

– დემოკრატი კონგრესმენები ტრამპის ნებისმიერი ინიციატივის ჩაგდებას შეეცდებიან. რესპუბლიკელებს შორის ტრამპის პიროვნების მიმართ ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს. კონგრესი ერთსულოვანია მხოლოდ ერთში: რუსეთს ძალისმიერი პოზიციებიდან უნდა ველაპარაკოთ და სანქციების არათუ გაუქმება, შესუსტებაც კი დაუშვებელია! –ამბობს ლიჰტმანი.

# სირიელი პარტიზანები სამშვიდობო მოლაპარაკებებს წყვეტენ

სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასადთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს წყვეტენ. მიზეზი სირიის დიქტატორის მიერ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების სისტემატური დარღვევაა.

– ასეთ სიტუაციაში მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს, – აცხადებენ ისინი.



სირიაში მშვიდობის გარანტად რუსეთთან ერთად ირანი და თურქეთი მოგვევლინნენ, თუმცა მათ პოზიციაშიც უდიდესი განსხვავებაა. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ასადთან მოლაპარაკებები დაუშვებელია, რადგანაც ის ხალხის მხარდაჭერით არ სარგებლობს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის პასუხმაც არ დააყოვნა:

– ჩვენ არცერთი უცხო სახელმწიფოს მიერ სირიის ოკუპაციას არ დავუშვებთ. მხედველობაში მყავს თურქეთის ჯარი, რომელიც სირიაში დიდხანს დარჩენას აპირებს, – თქვა ლავროვმა.



# სისხლიანი ბუნტი ბრაზილიის ციხეში

ბრაზილიის ქალაქ მანაუსის ციხეში პატიმრები აჯანყდნენ. ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. სამთავრობო ძალებსა და პატიმართა შორის შეტაკების შედეგად დაიღუპა 80 ადამიანი.

ხელისუფლების განცხადებით, ბუნტი ორ მოქიშპე ნარკობანდის წევრებს შორის შეტაკების გამო მოხდა. პატიმართა ახლობლები კი ამტკიცებენ, რომ ციხეში გაუსაძლისი პირობებია, ზედამხედველები პატიმრებს აბუჩად იგდებენ. ცემა-ტყეპა, გაუპატიურებები და სხვა მსგავსი მოვლენები აქ ჩვეულებრივია.

– ბუნტიც ამის გამო მოხდა, – აცხადებენ ისინი.

# მოგერინი: „უკრაინა ევროპისათვის პრიორიტეტი იქნება“



ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ უსაფუძვლო უწოდა ხმებს, რომლის თანახმადაც, ევროპას უკრაინის მიმართ გული აუცრუვდა. მოგერინი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდება 2017 წელს დანიშნული არჩევნები საფრანგეთში, ჰოლანდიასა თუ სხვა ქვეყნებში, უკრაინის ევროინტეგრაცია გაგრძელდება.

– უკრაინა ჩვენთვის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება, – თქვა მოგერინიმ.

ევროკომისარმა აღნიშნა, რომ ევროპა უკრაინის მიმართ ერთგვაროვანი არ არის. არსებობენ ქვეყნები, რომლებიც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას მოითხოვენ, თუმცა ეს შეუძლებელია.

– სანქციები ერთხმად დაწესდა და მათი გაუქმებაც ერთხმად უნდა მოხდეს. ეს კი წარმოუდგენელია, – ამბობს მოგერინი.

# ტერაქტი სომალიში

სომალის დედაქალაქ მოგადიშუში მორიგი ტერაქტი მოხდა. აეროპორტის მახლობლად ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ორი ავტომანქანა აფეთქდა. შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა.

– ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ორგანიზაცია „ალ-აბაბმა“ აიღო, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

# ისრაელის პრემიერს კორუფციაში ადანაშაულებენ

ისრაელის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ პრემიერ ნეტანიაჰუსა და მისი ოჯახის წევრებს ბრალად ედებათ კორუფცია. პოლიციამ დაკითხა როგორც პრემიერი, ასევე მისი მეუღლე.

– გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

თავად ნეტანიაჰუ ამბობს, რომ უდანაშაულოა და არავითარი გამოძიებისა არ ეშინია.

– როცა არაფერში ბრალი არ მიგიძღვის, ნებისმიერ დაკითხვას მშვიდად შეხვდები, – ამბობს პრემიერი.

# ტერაქტი ბაღდადში

ერაყის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. სადრ-სიტის რაიონში, ბაზრის მახლობლად, ტერორისტმა-შაგიდმა თავი აიფეთქა.

– ამ დროს ბაზარში ხალხმრავლობა იყო, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

აფეთქების შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა, 25-მდე დაიჭრა. მომხდარის გამო ჯერ-ჯერობით პასუხისმგებლობა არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია. ერაყელი ძალოვნები ვარაუდობენ, რომ აქცია ექსტრემისტული დაჯგუფების „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ნახელავია.

– მსგავს აქციებს ისინი ადრეც ახორციელებდნენ, – ამბობენ ერაყელი პოლიციელები.

# ყაზახეთში საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა

ყარაგანდის მახლობლად მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა. აფეთქების მიზეზი, სავარაუდოდ, უბედური შემთხვევაა: აფეთქდა გამათბობელი. შედეგად დაიღუპა ცხრა ადამიანი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლაშა ტალახაძე: „უნდა დავამტკიცო, რომ მიღწეული შედეგები შემთხვევითი არ ყოფილა“




საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ 2016 წლის საუკეთესო სპორტსმენად ლაშა ტალახაძე ცნეს.

ეს გასაკვირიც არ ყოფილა — ტალახაძემ 2016 წელს ყველაფერი მოიგო... მთავარი ოლიმპიური თამაშები იყო, სადაც ოლიმპიური ოქრო მსოფლიოს რეკორდით მოიპოვა.

ლაშა 22 წლის არის. მისგან კიდევ უამრავ ოქროს მედალსა და რეკორდს ველით. მანამდე კი როგორ მივიდა ლაშა პირველ დიდ გამარჯვებამდე...

***— როგორ შეხვდი ახალ წელს?***

— ოჯახის წევრებთან ერთად. დიდებული წელი იყო და ეკუთვნოდა ღირსეულად გაცილება...

***— ღვინით გააცილე?***

— ცოტა მოვსვი მამაჩემის დაყენებული ღვინო — ციცქა-ცოლიკაურის სუფთა წვენი. სრულიად საქართველოს მივულოცე შობა-ახალი წელი! სანამ სპორტში ვარ, სპირტიან სასმელებს არ გავეკარები.

***— რეჟიმს კვების დროსაც იცავ?***

— განსაკუთრებულად არა... ქართული კერძები მიყვარს — ხინკალი, მწვადი, ხაშლამა. გამორჩეულად კი შემწვარ კარტოფილს ვეტანები ტყემალთან ერთად.

***— ცხოვრებაშიც და ფიცარნაგზეც მშვიდი ხარ.***

— დიდად ემოციური არ ვარ. რიოში ფიცარნაგზე გასვლის წინ ვღელავდი, მაგრამ საფუძვლიანი მომზადება გავიარე და დიდი სიმძიმეების ასაწევად მზად ვიყავი.

***— ოლიმპიადამდე უკვე ვიცოდით რა სიმძიმეებს შეეჭიდებოდი.***

— ბოლო შეკრებებზე არაერთხელ 215 კილო ავიტაცე და 260 კილო ავკარი. რიოში ამ შედეგებით მედალი გარანტირებული იყო და თუ ეს ოქროსი იქნებოდა...

***— გამოსვლასაც ისეთი წონებით იწყებდი, მედალი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.***

— წინასწარ მონაცემებში 6 სპორტსმენს ორჭიდში 450 კილო გვეწერა. მსგავსი რამ, მგონი, არც ერთ ოლიმპიადაზე არ ყოფილა. თუმცა, წინა შეჯიბრებებიდან რამდენიმე ძალოსნის მაჩვენებლები ვიცოდი და ვეჭვობდი, რომ მათ ასეთი შედეგისთვის მიეღწიათ, მით უმეტეს ოლიმპიადაზე. ასეც მოხდა.

***— მთავარი კონკურენტი ირანელი ოლიმპიური ჩემპიონი ბეჰდად სალიმი ჩანდა.***

— რიომდე ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, მაგრამ მისი ასეული წონებიდან გამომდინარე ვიცოდი, რომ ბრძოლა მასთან მომიწევდა. ბოლოს და ბოლოს, ლონდონის ოლიმპიური ჩემპიონია. ატაცში ეს გამოჩნდა კიდეც.

***— წონის დაძლევის გარდა, საჭირო იყო ტაქტიკური სვლებიც, რათა მზად შეხვედროდი მედლისთვის ბრძოლას.***

— ეს უკვე მწვრთნელების პრეროგატივაა. მსვლელობისას არის შესაძლებელი წონების შეცვლა, მაგრამ შეჯიბრებისას ბევრი რამ უნდა გათვალო და გაითვალისწინო. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები არ კმარა. სპორტსმენს კი საამისოდ არ სცალია — იგი ასაწევ წონაზეა ორიენტირებული და კონცენტრირებული. ამიტომ მწვრთნელები განსაზღვრავენ, რომელ ცდაზე რა წონაზე მიხვიდე, როდის უნდა გარისკო.

რიოშიც ასე მოხდა: სალიმის ატაცში 206 კილო ჰქონდა შეკვეთილი. მწვრთნელებს ვთხოვე, ჩემი საწყისი წონა გაეზარდათ, რომ ფიცარნაგზე ირანელის შემდეგ გავსულიყავი. მათ კი შეჯიბრების დაწყება მაინც 205 კილოთი მირჩიეს. ირანელი ატაცში ძალიან ძლიერია და რიომდე მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნოდა — 214 კილო. მესამე ცდაზე ეს შედეგი კი გავაუმჯობესე, მაგრამ ჩემმა მსოფლიოს რეკორდმა მხოლოდ რამდენიმე წუთი იარსება, რადგან სალიმმა მესამე ცდაზე 216-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, აკვრაში ვაჯობებდი. პირველსავე ცდაზე 242 კილო ავკარი და ვერცხლის მედალი გავინაღდე. ფიცარნაგიდან რომ ჩამოვედი, მწვრთნელებს ვთხოვე, სალიმი სამივე მისვლას რომ გამოიყენებს, მეორე ცდაზე მერე მიმიშვით-მეთქი. გიორგი ასანიძესა და ავთანდილ გახოკიძეს ჩემი თქმა არც სჭირდებოდათ, რადგან უკვე ასე ჰქონიათ ჩაფიქრებული, რადგან ხვდებოდნენ, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავი დიდი სიმძიმეების ასაწევად. მეორე ცდის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, რადგან ირანელმა საწყისი წონა — 245 კილოგრამი ვერ დაძლია.

***— საინტერესო თემას მივადექით. ირანელს 2 ცდა არ ჩაუთვალეს, რამაც მისი გულშემატკივრები გააბრაზა და შენ გამოსვლებსაც სტვენით ხვდებოდნენ.***

— შტანგის აწევას თავისი წესები აქვს — ირანელ სპორტსმენს ორივე ცდისას ხელი მოხრილი ჰქონდა და მერე გამართა. მსგავსი შეცდომის გამო, ჰიუსტონში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეც არ ჩამითვალეს მეორე ცდა. ირანელ გულშემატკივართა აგრესიამ მსაჯებიდან ჩემზე გადმოინაცვლა. როცა წონების ასაწევად გავდიოდი ფიცარნაგზე, დარბაზში ხმაური იყო, რაც წესებით დაუშვებელია. თუმცა მე იმ სიტუაციისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ამიტომაც იყო, რომ უკვე ოლიმპიური ჩემპიონი მესამე ცდისთვის გავედი ფიცარნაგზე. საჭირო იყო, რომ ირანელი ქომაგებისთვის ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. 258 კილოგრამის აწევით ორჭიდში 473 კილო მოვაგროვე, რაც კილოგრამით მეტია 16 წლის წინ, 2000 წელს, ირანელი ჰოსეინ რეზა ზადეს მიერ დამყარებულ მსოფლიოსა და ოლიმპიურ რეკორდებზე.

***— სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?***

— მალე საწვრთნელი შეკრებები დაგვეწყება. აპრილში ევროპის ჩემპიონატზე დავამტკიცებთ, რომ ჩემი მიღწეული შედეგები შემთხვევითი არ ყოფილა.

# ქართული სპორტის გასული წლის მოკლე მიმოხილვა

2016 წელი ქართული სპორტისთვის აქტიურად დაიწყო — ზაზა ფაჩულია ახლოს იყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩში თამაშთან. ბევრი იაქტიურა ქართველმა გულშემატკივარმა, მაგრამ საქართველოს ნაკრების კაპიტანს ოლ სტარტზე მოსახვედრად სულ ცოტა დააკლდა. ზაზა ფაჩულია 768.112 ხმით დასავლეთ კონფერენციის წინახაზელებში მე-4 პოზიცია დაიკავა და სასტარო ხუთეულში მოსახვედრად მხოლოდ 14.000 ხმა დააკლდა.

შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა ისევ კალათბურთს უკავშირდება — იგორ კოკოშკოვის ნაცვლად ეროვნულ გუნდს სათავეში ბერძენი სპეციალისტი ილიას ზუროსი ჩაუდგა. გავასწრებთ მოვლენებს და გეტყვით, რომ ქართველმა კალათბურთელებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური და სხვადასხვა გამოკითხვებში წლის საუკეთესო გუნდად იქნა მიჩნეული.

საკალათბურთო ნაკრების შემდეგ სამწვრთნელო შტაბი ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდშიც შეიცვალა. ეს ცვლილება ოდნავ სკანდალურიც გამოდგა — კახა ცხადაძესთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ საქართველოს ნაკრები სლოვაკმა სპეციალისტმა ვლადიმირ ვაისმა ჩაიბარა. ცხადაძის გაშვებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა და სკანდალი ამან გამოიწვია.

აპრილი ძიუდოისტების იყო: საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში მასპინძელ რუსეთის ნაკრებს სძლიეს და ყაზანში საქართველოს ჰიმნი აჟღერეს.

მაისში ეროვნული ჩემპიონატები დასრულდა. საქართველოს ჩემპიონი კიდევ ერთხელ გახდა თბილისის დინამო. ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა ქვეყნის თასიც მოიგო და დუბლი შეასრულა. კლუბის ხელმძღვანელობის დაპირებით, გუნდი არც ევროტურნირებზე შეირცხვენდა თავს, მაგრამ...

საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ ზაფხულში 2016 წლის მთავარი საფეხბურთო მოვლენა, ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, რომელიც, როგორც ყოველთვის, ჩვენ გარეშე გაიმართა. სამაგიეროდ, ჩვენ კარგად „დავისვენეთ“ და ესპანეთის ნაკრებს მოვუგეთ ამხანაგურად. ასეთი დონის გუნდთან საქართველოს ნაკრებმა პირველად მოიგო.

ივნისშივე ქართველმა მორაგბეებმა, რომლებიც წყნარი ოკეანის ტურნეზე პირველად გაემგზავრნენ და იქაურობა სულ „მილეწ-მოლეწეს“. ბორჯღალოსნებმა 3 მატჩი გამართეს, აქედან 2 მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. მოუგეს ფიჯისა და ტონგას, ფრედ ითამაშეს სამოასთან და პირველად ისტორიაში რეიტინგში მე-11 ადგილზე აღმოჩნდნენ.

ივლისში იყო ის ევრომარცხი (უფრო კრახი), რომელიც ყოველწლიური გახდა. 4 ქართული გუნდი მონაწილეობდა ევროტურნირებზე და მხოლოდ თბილისის დინამომ დაძლია ერთადერთი ბარიერი, როდესაც სომხური გუნდი ალაშკერტი გააგდო.

ივლისშივე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია რიოს ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი ოლიმპიელების ფორმებმა. საზოგადოება ქართველი სპორტსმენების ოლიმპიურ სამოსს უარყოფითად შეხვდა.

აგვისტოთი შეგვიძლია ვიამაყოთ. რიო დე ჟანეირომ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას, ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა, სადაც ქართველი სპორტსმენები რეკორდული, რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. რიოს 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე ლიცენზია 40-მა ქართველმა სპორტის 13 სახეობაში მოიპოვა. ოლიმპიური თამაშები ქართველი სპორტსმენებისთვის მხოლოდ რაოდენობრივად არ ყოფილა გამორჩეული. პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საქართველომ ლიცენზია კანოეში და ფარიკაობაში მოიპოვა.




ოქრო იგვიანებდა, თუმცა სხვა შეფერილობის მედლები და სიხარული იყო: პირველი მედალი 2012 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა მოიპოვა, რომელიც ამჯერად ერთი წონით მაღლა გამოდიოდა.

შემდეგ იყო ვარლამ ლიპარტელიანის ვერცხლი, რომელმაც ფინალში განცდილი მარცხის გამო დაჯილდოების ცერემონიაზე ცრემლები ვერ შეიკავა.

ძალოსნობაში კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ერთდროულად ორი ქართველი ავიდა. მძიმე წონაში ირაკლი თურმანიძემ ბრინჯაოს მედალი, ლაშა ტალახაძემ კი ოქროს მედალი მოიპოვა. ტალახაძემ მსოფლიოს რეკორდი მოხსნა და ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მამაკაცის წოდებაც მიენიჭა.

საბოლოო სიტყვა მოჭიდავეებმა თქვეს. გამოუცდელობის გამო ოქრომდე ცოტა დააკლდათ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძესა და თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილს, ოქროს მედალს კი 2012 წლის ვერცხლის პრიზიორმა ლადო ხინჩეგაშვილმა გაუსინჯა გემო.

საერთო ჯამში, ქართულმა დელეგაციამ 7 მედალი მოიპოვა, აქედან – 2 ოქროსი და არაოფიციალურ ჩათვლაში 207 ქვეყნიდან 38-ე ადგილი დაიკავა.

სექტემბერი კალათბურთელების იყო – ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი მეოთხედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ოქტომბერში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს პირველი ჩოგნის ნიკოლოზ ბასილაშვილის ტომაშ ბერდიხზე გამარჯვება იყო. ბასილაშვილმა პირველად მსოფლიო რეიტინგის ათეულის ჩოგბურთელი დაამარცხა.

ნოემბერში ბორჯღალოსნები ისტორიულ შედეგამდე ძალიან ახლოს იყვნენ. ქართველ მორაგბეებს ჰქონდათ შანსი მსოფლიო რაგბის რეიტინგში ათეულში შესვლისა. ივნისში ქართველმა მორაგბეებმა ისტორიული შედეგი დააფიქსირეს და რეიტინგში მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს, თუმცა ნოემბრის ტესტმატჩების შემდეგ მე-12 პოზიცია დაიკავეს. ნოემბრის ტესტმატჩებში ბორჯღალოსნებმა იაპონიასა და სამოას უმასპინძლეს, 6 ერის გუნდ შოტლანდიას კი ესტუმრნენ. იაპონიასთან საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დასანანი მარცხი განიცადა, თუმცა სამოასთან შეცდომები გამოასწორეს და ღირსეული გამარჯვებაც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრაში მიხეილ მესხის სტადიონი გულშემატკივარმა ბოლომდე გაავსო. შოტლანდიაში კი, რა თქმა უნდა, ფავორიტები მასპინძლები იყვნენ და სწორედ მათ დარჩათ გამარჯვება.

დეკემბერში საქართველოს ჩემპიონი ფეხბურთში 2016 წელს მეორედ გამოვლინდა. დასრულდა გარდამავალი ჩემპიონატი და ამჯერად ქვეყნის საუკეთესო გუნდი სამტრედია გახდა, საქართველოს თასის მფლობელი კი — ქუთაისის ტორპედო.

თბილისის დინამო ისტორიაში მეორედ აღმოჩნდა საპრიზო ადგილისა და ევროტურნირის გარეშე, ორჯერვე ბოლო 6 წელიწადში, რომან ფიფიას მმართველობის პერიოდში.

# ზაზა ფაჩულიამ 2017 წელი შესანიშნავი მატჩით გახსნა

გოლდენ სტეიტის ქართველმა მეფარემ დენვერ ნაგითსის წინააღმდეგ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. ფაჩულიამ პარკეტზე 19 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში 11 ქულა და 9 მოხსნა (4 შეტევისას) შეასრულა.



ზაზამ 8 ორქულიანიდან 4 ჩააგდო და სამივე საჯარიმო ზუსტად გამოიყენა. ზაზას ერთი შედეგიანი პასიც ჰქონდა.

მატჩი დაძაბული გამოდგა დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული ბოლოს გაირკვა — საბოლოოდ, გოლდენ სტეიტმა 127:119 იმარჯვა. ოკლენდელთა სასტარტო ხუთეულის ყველა წარმომადგენელმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ფაჩულიაზე უკვე ვთქვით. კლეი ტომპსონმა 25, სტეფ კარიმ 22, კევინ დურანტმა 21 ქულა გააკეთეს, დრეიმონდ გრინმა კი 15 ქულით, 13 შედეგიანი გადაცემითა და 10 მოხსნით სამმაგი დუბლი გააფორმა.

გოლდენ სტეიტს 30 მოგება დაუგროვდა და ორივე კონფერენციაში საუკეთესო შედეგი აქვს. მომდევნო მატჩს ოკლენდელები შინ პორტლენდთან ჩაატარებენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**2 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მიდლსბრო-ლესტერი .................... 0:0
ევერტონი-საუთჰემპტონი .............. 3:0
სიტი-ბარნლი ................................ 2:1
სანდერლენდი-ლივერპული ........... 2:2
ვესტ ბრომვიჩი-ჰალი ..................... 3:1
ვესტ ჰემი-მანჩესტერი .................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 19 | 16 | 1 | 2 | 42-13 | 49 |
| 2.ლივერპული | 20 | 13 | 5 | 2 | 48-23 | 44 |
| 3.სიტი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-22 | 42 |
| 4.არსენალი | 19 | 12 | 4 | 3 | 41-19 | 40 |
| 5.ტოტენჰემი | 19 | 11 | 6 | 2 | 37-14 | 39 |
| 6.მანჩესტერი | 20 | 11 | 6 | 3 | 31-19 | 39 |
| 7.ევერტონი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-23 | 30 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-24 | 29 |
| 9.ბორნმუთი | 19 | 7 | 3 | 9 | 26-31 | 24 |
| 10.საუთჰემპტონი | 20 | 6 | 6 | 8 | 19-25 | 24 |
| 11.ბარნლი | 20 | 7 | 2 | 11 | 22-31 | 23 |
| 12.უოტფორდი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-34 | 22 |
| 13.ვესტ ჰემი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-35 | 22 |
| 14.ლესტერი | 20 | 5 | 6 | 9 | 24-31 | 21 |
| 15.სტოკი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-32 | 21 |
| 16.მიდლსბრო | 20 | 4 | 7 | 9 | 17-22 | 19 |
| 17.კრ.პალასი | 19 | 4 | 4 | 11 | 29-35 | 16 |
| 18.სანდერლენდი | 20 | 4 | 3 | 13 | 19-37 | 15 |
| 19.ჰალი | 20 | 3 | 4 | 13 | 17-44 | 13 |
| 20.სუონსი | 19 | 3 | 3 | 13 | 21-44 | 12 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ბრენტფორდი ............ 1:3
ბლექბერნი-ნიუკასლი .................. 1:0
ბრისტოლი-რედინგი .................... 2:3
ბარტონი-პრესტონი ..................... 0:1
კარდიფი-ასტონ ვილა .................. 1:0
ფულემი-ბრაიტონი ....................... 1:2
ლიდსი-როტერჰემი ...................... 3:0
ნორვიჩი-დერბი ........................... 3:0
ნოტინგემი-ბარნსლი .................... 0:1
ქპრ-იფსვიჩი ................................ 2:1
უენსდი-ვულვზი ........................... 0:0
უიგანი-ჰადერსფილდი ................. 0:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ქართული დოკუმენტური კინოს ლეგენდა საჭმლის ფულის გარეშეა დარჩენილი



ქართული დოკუმენტური კინოს ლეგენდა იურა ბარამიძე საჭმლის ფულის და სამკურნალო სახსრების გარეშეა დარჩენილი.

ინფორმაციას და ხელოვანთან გადაღებულ ფოტოს ჟურნალისტი გოდერძი შარაშია ავრცელებს.

**გოდერძი შარაშია:**

– ეს არის ქართული დოკუმენტური კინოს ლეგენდა, მიხეილ ხერგიანზე ფილმების და რეზო თაბუკაშვილის პირადი ოპერატორი. ის სახლში ინახავდა იტალიიდან ჩამოსვენებული მიხეილ თამარაშვილის ნეშტს.

იურა ბარამიძე ახლაც არავის გახსენებია, არც საჭმლის ფული ჰქონდა და არც სამკურნალო სახსრები აქვს. დღეს მივულოცე ახალი წელი. აპრილში 86 წლის გახდება და, ვიცი, ისევ არავის გაახსენდება.

# თამო ვაშალომიძე თურქეთის ტერაქტს გადაურჩა



მოდელი თამო ვაშალომიძე თურქეთში ახალი წლის ღამეს განხორციელებულ ტერაქტს გადაურჩა.

როგორც მოდელმა სოციალურ ქსელში განაცხადა, ის ახალ წელს სწორედ იმ კლუბში შეხვდა, სადაც ტერაქტი მოხდა და დაქალის შეუძლოდ გახდომის გამო, იქაურობა ტერაქტამდე ნახევარი საათით ადრე დატოვა.

**თამო ვაშალომიძე:**

– აქამდე არ მინდოდა დამეწერა პოსტი ჩემი ახლობლებისა და ბებოს გამო, რომ არ შეშინებოდათ. კი დავწერე, მაგრამ წავშალე! 31-ში კლუბ „რეინაში" წავედით, შევხვდით ახალ წელს და ჩემი დაქალი ცუდად გახდა. წამოვედით სასტუმროში, იქ გადავინაცვლეთ ბარში და ატყდა ზარები, რომ როგორ ვიყავით. ზუსტად რა დროსაც წამოვსულვართ, 30 წუთის მერე მომხდარა ტერაქტი. სანამ წავიდოდი, მეგობარმა მკითხა, არ გეშინია, რომ მიდიხარო და თავდაჯერებულად მივუგე, არა მეთქი. ალბათ ახლა რომ ეკითხა, სხვანაირად ვუპასუხებდი!

ჩემო მეგობრებო, გირჩევთ ერიდოთ თურქეთში გამგზავრებას და გადაჯდომით რეისებიც ეცადეთ სხვა ქვეყანაში გააკეთოთ! მადლობა ღმერთს, კარგად ვარ და ჩემი მეგობარი გახდა ცუდად და წამოვედით! პოლიტიკის გამო რატო უნდა კვდებოდნენ უბრალოდ ადამიანები!

# თამაზ ჭეიშვილი: „ჩვენ ვართ ერი, სხვისი მაღმერთებელი და საკუთარის გამანადგურებელი!"

„ჩვენ ვართ ერი!" – ასე ასათაურებს პუბლიცისტი და ჟურნალისტი თამაზ ჭეიშვილი თავის ჩანაწერს სოციალურ ქსელში და ქართველების დადებით და უარყოფით მხარეებს საჯაროდ ამხელს.

**თამაზ ჭეიშვილი:**

– თანამედროვე ნიჭიერს, მსოფლიო დონის გენიოსს უნდა გენატრებოდეს ლუკმაპური და იმ შენი ,,პორტფელიანი" თანამედროვეების მიერ „გაუგებარი და ამოუცნობი" უნდა იყო, რომელთა ხელში არს კანონი, ძალაუფლება და სულიერი სიმწირის გამო შენს ფრჩხილადაც არ ღირან!

შეიმოსო ევროპელების ნაქონი, სამადლოდ გამოგზავნილი, იაფად ნაყიდი ,,ზმანით"!

უნდა იცხოვრო, უკეთეს შემთხვევაში სარდაფში, ან ნახევარსარდაფში, უარეს შემთხვევაში – კიბის ქვეშ!

დაზოგო ელექტროენერგია, გაზი, რომ არ გამოგითიშონ, არ ჩაგიჭრან და ცივ ზამთარში გასათოშად არ გაგიმეტონ!

ღვთით ნაბოძები ნიჭის პატრონი „მღებავად" უნდა იწოდებოდე, ოქროპირი, ან მწერალი „მჯღაბნელად" და გრაფომანად! ყველა ტელევიზია და გაზეთი ცდილობდეს უფლის მიერ ნაბოძები, შენში არსებული ნიჭის გამოყენებას მუქთად, ანაზღაურების გარეშე, თანაც დამადლებულად!

რა დავმართეთ არსაკიძეს, ნიკალას, ილიას, კოტე აფხაზს, ტიციანს, მიხეილ ჯავახიშვილს, მუხრანს, გოდერძი ჩოხელს!

ჩემო თანამედროვე გენიოსო, თუკი ამ სტრიქონებს კითხულობ, გული არ გაიტეხო! გარდაცვალებისთანავე (ღმერთმა ასი წელი გაცოცხლოს!), შენს გენიალურ შემოქმედებას გაიცნობს არა მხოლოდ საქართველო, მთელი ევროპა, შემდეგ კი მსოფლიოც... ოღონდ ახლა არა, გარდაცვალების შემდეგ!

მაგ უნიკალური ნახატებით, ლექსებით, მოთხრობებით, მუსიკით, სპექტაკლებით, ხელიხელსაგოგმანები ნაწარმოებებითა და ქმნილებებით ვინმე გაქნილი ,,მაკლერი" გამდიდრდება და ამ ერთუჯრედიან არსებას, იმის სინდისიც არ ეყოფა, საფლავი გრანიტის ქვით მაინც გაგილამაზოს... თუმცა, ამას ხელისუფალნი იზამენ (გეგმიურად)! შეიძლება მემორიალური დაფა და



ბიუსტიც გაღირსონ და შენი სახელობის დღეც დააწესონ!

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ვართ ,,ერი-ლაზარე" სულგანტევებული და მკვდრეთით აღმსდგარი!

ჩვენ ვართ ერი დიდი კულტურული წარსულის და უკულტურობით ველურთა განმცვიფრებელი!

ჩვენ ვართ ერი ,,ცოტნე დადიანი" და ,,შადიმან ბარათაშვილი"!

ჩვენ ვართ ერი მშიერი, მწყურვალი, მაგრამ გულუხვი მასპინძელი!

ჩვენ ვართ ერი სხვისი მაღმერთებელი და საკუთარის გამანადგურებელი!

ჩვენ ვართ ,,ერი-მარგალიტი" მობნეული ,,ქვეყანასა ნეხვად ქცეულსა ზედა" ბრწყინვალებით და სიკაშკაშითა მტრის თვალის დამბრმავებელი და საკუთარ გავლენიან ძეთა და ასულთა თვალთაგან დაუნახავნი და განწირულნი!

ჩვენ ვართ ერი დიაცთა მაღმერთებელი და ამავე დროს ადვილად განმწირავი!

ჩვენ ვართ ერი ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული! სხვათა მოდგმისა და რჯულის გამრთობი, ,,ლასკალას" თეატრსა მოსულ იტალიელთა, ფრანგთა, ბრიტანელთა და სხვა ველურ ტომთა შთამომავალ-მოდგმის განმაცვიფრებელი „ხმებითა სირინოზისათა"... საკუთარ ქვეყანაში კი უმუშევრობით და უსაქმურობით გალოთებული ან, მეეზოვედ გამწესებული!

ჩვენ ვართ ერი უნიჭოთა, მაგრამ სისხლით ნათესავთა განმაღმერთებელი, ხოლო არასისხლითმონათესავე გენიოსთა არარად ჩამგდები, განმწირველი!

ჩვენ ვართ „ერი მამელუქთა"! სხვათა ომში თავგანწირვით მებრძოლი, საკუთარ ქვეყანაში მამაც და თავდადებულ მოძმეთა განმგმირავი და სასიკვდილოდ გამმეტებელი!

ჩვენ ვართ ერი ,,ბაზალეთის ომის" მძიმე ტვირთად მატარებელი და ამავე დროს დიდგორის ბრძოლით ცრემლებამდე ამაყი!

ჩვენ ვართ ერი სხვათა მოხუცთა და დავრდომილთა რუდუნებით და თავგადაკვლით მომვლელი, საკუთარ მოხუც დედათა და მამათა, აგრეთვე უმუშევრად დარჩენილ ძეთა და ასულთა გადასარჩენად!

ჩვენ ვართ ერი სასწაულთა მქნელი და შემოქმედი უფულოდ, უხელსაქმოდ, უსახსრობით დათრგუნული, მაგრამ მტრის გულის გასახეთქად, დღენიადაგ დუქნებ და რესტორნებსავსე, მხიარულად მოქეიფე-მომღერალ-მომცინარი!

ჩვენ ვართ ერი სხვათა უბადრუკობის მაღმერთებელ-ხოტბის შემსხმელი და საკუთარის განმაცვიფრებელ-გასაოგნებელის-დამანგრეველი!

ჩვენ ვართ ერი მარტყოფგამოვლილი, ერი ძეთა: ცურტაველისა, არსაკიძისა, ბეშქენ და ბექა ოპიზრებისა, შოთასი, ვაჟაისი, ილიასი, გალაკტიონისა, ტიციანისა, ლადოსი, ნიკალასი, გუდიაშვილისა, დავითისა, გიორგი ბრწყინვალისა, ასულისა თამარისა... პატრონნი განსაცვიფრებელი დედა ენისა, თვითნაბადისა, ვითარცა ოქროისა ლოდი!!!

ჩვენ ვართ „ბედნიერი ერი"... და სულ მუდამ უბედური!

მაგრამ... ჩვენ ვართ ამოცანა!

ვართ და ვიქნებით უსასრულოდ, ვიდრე არს უფალი!!!

ამინ! ამინ! ამიინ!

ახალ წელს გილოცავთ და რკინის მოთმინებას გისურვებთ არაღიარებულო ქართველო გენიოსებო!

# „ქუჩის ბიჭებმა" პატიმარ ქალებს უმღერეს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში „ქუჩის ბიჭებმა" და ზურაბ დოიჯაშვილმა კონცერტი გამართეს.

მომღერლებმა საკუთარი რეპერტუარიდან ცნობილი ჰიტები შეასრულეს და მსჯავრდებულებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს. ღონისძიებაზე მსჯავრდებულებმა ზურაბ დოიჯაშვილთან ერთად მუსიკალური ნომერიც შეასრულეს.

მომღერალმა ზურა ხაჩიძემ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს კონცერტის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალში თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.



– სურვილი გვქონდა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ერთად გაგვეკეთებინა ერთობლივი ღონისძიება და წინასწარ მიგველოცა მსჯავრდებულებისთვის დამდეგი შობა-ახალი წელი, სიმღერით გამოგვეხატა მათდამი დამოკიდებულება და სიყვარული. მინდა სამინისტროს კონცერტის ორგანიზებისთვის მადლობა გადავუხადო, – განაცხადა ზურა ხაჩიძემ.

№5 ქალთა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნესტან ვერულაშვილის განცხადებით, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს მსჯავრდებულების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ღონისძიება №5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდა.

# საქართველო და თბილისი შერლოკის ახალი სერიის ფოკუსში

ტელეკომპანია ბიბისის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული სერიალი „შერლოკი" ახალი წლის პირველივე დღეებში მეოთხე სეზონით დაბრუნდა ეთერში.

მეოთხე სეზონის პირველ სერიაში მთავარი აქცენტი საქართველოზე, თბილისსა და ქართულ დროშაზე კეთდება.

სცენარის მიხედვით, მთავარი მოვლენები წარსულში, 6 წლის წინ თბილისში მოხდა და მთელი სერია საქართველო და თბილისი ძალიან ბევრჯერ არის ნახსენები.

მეოთხე სეზონის მეორე და მესამე სერია უახლოესი ორი კვირის განმავლობაში იქნება ნაჩვენები. იქნება თუ არა მოვლენების ეპიცენტრი კვლავ საქართველო და მისი დედაქალაქი, ჯერჯერობით უცნობია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 4 იანვრისათვის



**ვერძი** – ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** – თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** – იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** – გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** – ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კულტურის დაქვეითება, რეგრესი; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. საფრანგეთის პრეზიდენტი; 11. ფიგურული სახაზავი; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგის ქართული სახელწოდება; 14. ისტორიული ციხესიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 16. მესაქონლეობის მსხვილი ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. ცხენის ერთგვარი სვლა; 22. ფინეთის მეორე სახელწოდება.

**თარაზულად**: 6. ჩინური ფაიფური; 7. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბარიტონი; 8. პირველი გერმანული ოპერა; 9. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 10. საშობაო სიმღერა; 13. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი-მომღერალი უკრაინაში ძველად; 20. ბრიტანული არაყი; 21. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. ურთიერთდათმობით მიღწეული გადაწყვეტილება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯინი; 2. რვალი; 3. ლიახვი; 5. მუაში; 6. თავკვერი; 8. დეიტერიუმი; 10. რიტუალი; 12. ჟურნალი; 14. ბინომი; 15. აირანი; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. ჯოკერი; 4. ამანათი; 7. სტატია; 9. ვეზირი; 11. სილეზია; 12. ჟოეკვარა; 13. იუმორი; 17. გეიტსი; 18. დუყი; 19. პლატფორმა; 20. დინამიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შამბრიერი; 2. დესპანი; 3. ტონიკი; 4. ტოსკა; 5. გლორია; 11. კოპოლა; 12. სტამბა; 14. ჯუთი; 16. მანტისა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. შონია; 22. ტაქსა.

**თარაზულად:** 6. ვაპორეტო; 7. პრომილე; 8. კიური; 9. პრიზმა; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. ამბროლაური; 18. ბამბუკი; 20. ორლი; 21. შერიფი; 23. ბარმაქსიზი; 24. თარჩია.

# ხელბურთელები ლუქსემბურგს განახლებული ნაკრებით დაუხვდებიან

დღეს ხელბურთის ეროვნულ ნაკრები თბილისის ახალ სპორტის სასახლეში 18 საათზე ლუქსემბურგს ეთამაშება ევრო 2020-ის შესარჩევ ტურნირზე, ხოლო 7 იანვარს საპასუხო შეხვედრაა მეტოქის მოედანზე.

სამგუნდიანი ჯგუფიდან, სადაც ასევე იტალიაც თამაშობს, მეორე, მთავარ შესარჩევ რაუნდში მხოლოდ გამარჯვებული გადის და იტალიას უკეთესი პოზიცია აქვს, რადგანაც უკვე ორჯერ დაამარცხა ჩვენი ნაკრები – 26:19 სირაკუზაში და 28:25 თბილისში. 11 და 15 იანვარს ორჯერ ლუქსემბურგი და იტალია ითამაშებენ და გამარჯვებულიც ოფიციალურად გაირკვევა.

და რადგანაც ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყო. ჩვენს გუნდს მეორე შანსიც ექნება ევრო 2020-ის მეორე შესარჩევ რაუნდში გასასვლელად. ეს 2017 წლის ივნისში მოხდება, როცა გაიმართება ჩელენჯ ტროფის გათამაშება.

პირველ ეტაპზე ხელმოცარულ 6 გუნდს დაემატებიან აზერბაიჯანი, ბრიტანეთი, მალტა, ალბანეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, ანდორა, ირლანდია, სომხეთი. ამ ტურნირის გამარჯვებული ევრო 2020-ის მთავარი შესარჩევი რაუნდის საგზურს მიიღებს, ოღონდ ივნისის ჩელენჯ ტროფის უკვე ასაკობრივი შეზღუდვა



ექნება – 25 წლამდე.

შესაბამისია შემადგენლობაც: ლუქსემბურგის წინააღმდეგ 14-კაციან განაცხადში მხოლოდ 5 ხელბურთელია 25 წელზე უფროსი – თევზაძე, ჭანტურია, გრიშიკაშვილი, ტორონჯაძე და ჩიქოვანი, 4 წევრი კი საერთოდ 18 წლისაა (კბილაშვილი, რუსტამოვი, მიქავა, გოგავა) და 19-წლამდელთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლებაც აქვს. სწორედ ამ შემადგენლობით ითამაშა დეკემბრის ბოლოს საქართველომ 2 ამხანაგური მატჩი ისრაელთან (ორივე 37:38 დასრულდა) და ახალგაზრდებმა კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს.

საქართველოსა და ლუქსემბურგის ნაკრებები ერთმანეთს აქამდე სამჯერ შეხვედრიან. 2008 წლის 20 იანვარს, ჩელენჯ ტროფის ფინალში, ნორვეგიის ქალაქ დრამენში, მეტოქეს 28:27 მოვუგეთ და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტულიც მოვიპოვეთ სანაკრებო დონეზე. 2015 წლის 30 აპრილს, ლუქსემბურგი 17:16 დავამარცხეთ ქუთაისში, ევრო 2018-ის შესარჩევ ტურნირზე, თუმცა, 4 დღის შემდეგ, 3 მაისს, 20:29 წავაგეთ საპასუხო მატჩი ლუქსემბურგში.

**ლუქსემბურგთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** გიგა ტორონჯაძე (ქუთაისი), შოთა თევზაძე (რეშიცა, რუმინეთი);

**მოედნის მოთამაშეები:** შოთა გრიშიკაშვილი, ზურაბ აბრამიშვილი, ლექსო წითელიშვილი (ყველა ბათუმი), ზურაბ გოგავა, გიორგი დიხამინჯია (ორივე პეგასი), ხაზეინ რუსტამოვი, ზურაბ სიმონია (ორივე ქუთაისი), ირაკლი ჩიქოვანი (დუნარეა, რუმინეთი), ირაკლი კბილაშვილი (ეგეოს სერიფატო, საბერძნეთი), თეიმურაზ ორჯონიკიძე (პრილეპი, მაკედონია), რევაზ ჭანტურია (პელისტერი, მაკედონია), გიორგი მიქავა (იმედი).

# მანჩესტერსა და ტოტენჰემს პეპეს გადაბირება სურთ



მადრიდის რეალის ცენტრალური მცველი პეპე მანჩესტერ იუნაიტედის სატრანსფერო სამიზნეა.

33 წლის პორტუგალიელს მადრიდულ კლუბში არც ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს, რითაც ზაფხულში ჟოზე მოურინიო ისარგებლებს და მის გადაბირებას ეცდება.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონს არა მარტო ევროპული კლუბებიდან, არამედ ჩინეთიდანაც აქვს შეთავაზებები.

მოურინიოსა და პეპეს ადრეც უმუშავიათ ერთად და მწვრთნელს იმედი აქვს, რომ სხვებისთვის შეთავაზების გაკეთების დასწრებით პორტუგალიელის შეძენას მოახერხეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პეპეს სახით ჟოზე კარგ სათადარიგო ფეხბურთელს ხედავს, რომელიც ფილ ჯონსს, მარკოს როხოს, კრის სმოლინგსა და ერიკ ბაიის დახმარებას გაუწევს.

პეპეს შეძენა მარტო მანჩესტერს არ სურს – პორტუგალიელით ტოტენჰემიც ინტერესდება, მაგრამ მოურინიო ფეხბურთელთან წარსულში თანამშრომლობის გამოცდილებით ფლობს უპირატესობას.

ევროპულ გუნდებზე მეტი კონკურენცია ჩინელებმა შეიძლება გასწიონ თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით. მაგალითად, თუკი ჩინეთში გადასვლას გადაწყვეტს, პეპეს კვირაში, მინიმუმ, 450.000 გირვანქა სტერლინგს შესთავაზებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

რევაზ გოგოხია ოჯახით იუწყება სიმამრის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, შრომის ორდენოსნის, ვეტერანის, კაცთმოყვარე, მაღალი რანგის პროფესიონალის, საყვარელი მამის, ბაბუის, ბატონი

**მეგონა ივანეს ძე ქარდავას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 4 იანვარს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 5 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი, II მიკრორაიონი, 47ა კორპუსი.

---

ვიტალი ქარდავა და ლეილა შანავა შვილებით, ლელა, ნათია, თამუნა, ირაკლი ქარდავებით, რძლით თამთა კვარაცხელია, სიძეებით მერაბ გაბისონია, დათო მიქავა და ზაზა კვარაცხელია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული ღვაწლმოსილი პედაგოგი, შრომის ვეტერანი

**მეგონა ივანეს ძე ქარდავა**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 5 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი, II მიკრორაიონი, 47ა კორპუსი, ბინა 21.

---

ნუგზარ ქარდავა ოჯახით იუწყება სათნო ადამიანის, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების, ბატონი

**იმედო პავლეს ძე პაპასქირის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ნათესავებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

---

მეუღლე ნაირა, შვილი ნანა, ძმა მურმანი, ძმისშვილები, დისშვილები და სხვა ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან

**ჯუმბერ დავითის ძე ნაჭყებიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 4 იანვარს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 5 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი, V მიკრორაიონი, 26ბ კორპუსი, III სართული.

---

მეგობრები და კოლეგები სამძიმარს უცხადებენ ჯემალ ლეთოდიანს სიძის

**ჯუმბერ ნაჭყებიას**

გარდაცვალების გამო.

---

სამშობიარო „იმედის კლინიკა" სამძიმარს გამოთქვამს ექიმ რამაზ ჭილაძის

**დედის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

---



**აფხაზეთიდან დევნილი ოთხმოცდათხუთმეტი წლის**

**მეგონა ივანეს ძე ქარდავა**

პატიოსნებით, სიწმინდით, ინტელექტითა და ცხოვრების ულამაზესი წესით უფრო ზეციური მოვლენა იყო, ვიდრე მიწიერი. ნოდარ დუმბაძის ნათქვამისა არ იყოს, ბატონი მეგონა ღმერთებს შეცდომით ხელიდან გაუვარდათ და ასე აღმოჩნდა დედამიწაზე. მისი უახლოესი ადამიანები მას მიწიერ ღმერთად მოიხსენიებდნენ. საახალწლოდ ღმერთებმა შეცდომა გამოასწორეს და ის მიწიერი სამყაროდან გაიწვიეს და ზეციურ საუფლოში კუთვნილი ადგილი დაუთმეს.

მფარველ ანგელოზად ეყოლოს მის საყვარელ ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული აწ და მარადის.

*მისი უახლოესი ადამიანებისა და ქარდავების გვარის სახელით,*
*ირა და რაჟდენ ქარდავები ოჯახებით*

---

**გიგა იგორის ძე გადელიას**

**ხსოვნა**



ჩვენო ძვირფასო გიგა, თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი გარდაცვალება... ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. თვალწინ გვიდგას შენი ღიმილიანი, გასხივოსნებული სახე, შენი სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე თვალები, გამორჩეული ადამიანური ხიბლი, რომლითაც ყველას აჯადოებდი...

აფხაზეთში ღირსებითა და ცოდნის სიყვარულით გამორჩეული ოჯახის შვილი იყავი – ნიჭიერი, კეთილი, სანიმუშოდ სწავლობდი. გალის IV საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხე, სტუდენტობის დროს სიყვარულით იქორწინე შენს რჩეულზე – ირმა თორიაზე, სრულიად ახალგაზრდამ გაითავისე მამობის განცდა – ჯერ ქეთი მოევლინა ქვეყანას, მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ კი თათია და ანი. ამაყობდი, რომ სამი ულამაზესი ქალიშვილის მამა იყავი, მათი წარმატებებით ხარობდი.

ვინ იფიქრებდა, რომ ბედისწერა ასე უსამართლოდ გაგწირავდა. ჯერ ორმოცდაათი წლისაც არ იყავი, ახალგაზრდული ენერგიითა და მომავლის გეგმებით აღსავსე... ბოლო წუთამდე მობილურით ეკონტაქტებოდი დედას და უმცროს ძმას, ზაზას, რომელთანაც განსაკუთრებული სიახლოვე გაკავშირებდა. არწმუნებდი, რომ საშიშროებამ უკვე ჩაიარა, რომ ყველაფერი კარგად იყო, ჰპირდებოდი, რომ ამ ზაფხულს ისევ ჩახვიდოდი შენს მონატრებულ გალში და დაწყებულ საქმეებს გააგრძელებდი... საავადმყოფოში თავზე დაგტრიალებდნენ შენი მეუღლე, შვილები, შეუძლებელს აკეთებდა შენი საფიცარი და, ქეთინო მეუღლესთან ერთად, თუმცა, შენი გადარჩენა ვერ მოხერხდა...

შენი გარდაცვალებიდან ორმოცმა დღემ ცრემლსა და მწუხარებაში განვლო, ჩვენო ძვირფასო. მოსვენებას არ გვაძლევს კითხვები, რატომ, რისთვის, როგორ... ნუგეშად მხოლოდ ისღა გვრჩება, რომ გარდაცვალებით არ მთავრდება ყველაფერი, გვწამს, რომ შენი კეთილშობილი სული მარადისობაში გააგრძელებს არსებობას...

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ძვირფასო, ნათელში გვიმყოფოს შენი კეთილი და წმინდა სული. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გტკივა და გვენატრები...

*შენი ოჯახი*

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**4 იანვარი**
**ოთხშაბათი**

**08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** მხ/ფ "**თოვლის მეგობრები**" **10.40** ტ/სპექ. "**კაცი" რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.15** ქართ. მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **13.50** მხ/ფ "**სანტა კლაუსი-2**" **15.30** ქართული მოკ/ფ "**სერენადა**" **16.20** მხ/ფ "**ლეგენდა ზოროზე**" (კ.ზეტა ჯონსი) **18.20** ქართ. მხ/ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" **20.30** ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" **21.30** მხ/ფ "**აუტანელი სისასტიკე**" (ჯ.კლუნი) **23.10** კონცერტი. ნანი ბრეგვაძე - "ისტორიას დარჩება" **00.40** მხ/ფ "**დევნა შუაღამემდე**" (რ.დე ნირო) **03.40** მხ/ფ "**ტყუპები**"

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი. **08.50** დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" **09.40** მხ/ფ "**დიდი მსუქანი მატყუარა**" **11.05** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **11.55** ქართ. ტ/ფ "**სუფთა დაფა**" **12.25** დ/ფ "დიზაინი" **12.50** მხ/ფ "**სანტა უმცროსი 2. გადავარჩინოთ შობა**" **14.10** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **15.00** "ბრიფინგის დრო" **15.30** ანსამბლი "ერისიონი" **17.15** დ/ფ "ჯეიმის სადღესასწაულო სუფრა" **18.15** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **20.00** "მოამბე" **20.30** თბილისის ბიგ-ბენდი **21.45** ქართ. მხ/ფ "**რაჭა" ჩემო სიყვარულო**" **23.05** "ნამდვილი დრო" **23.35** დათო ევგენიძის საიუბილეო კონცერტი.

**07.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **08.00** ქ.მხ/ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" **10.00** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**გონული**" **3-4** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **1** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**გაიცანით ფოკერები**" **01.45** მხ/ფ "**კარგი ადამიანები**" **03.45** მხ/ფ "**დარტყმულები**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **08.00** ანიმაცია "ჭილდ" **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ქ.მხ/ფ "**რობინზონი და 9 პარასკევა**" კონცერტი "მერაბ სეფაშვილი" **00.00, 03.30** მხ/ფ

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**გახსოვდეს კვირადღე**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**ბიზნესი სიყვარულის გამო**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **00.00** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი**" **02.20** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-საქართველოს პატრიარქის შესახებ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "ეპოქა-ილია II" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქარგვა" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "ჩემო პატრიარქო" **15.45** საქართველოს დაცული ტერიტორიები "კოლხეთის ეროვნული პარკი" **16.00** დ/ფ "ფერადი ქალაქების ისტორია" **16.45** ეპოქა და ადამიანები "მიხეილ ჯავახიშვილი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "პატრიარქი თუშეთსა და ხევსურეთში" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **0.30** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6468 |
| ევრო | 2.794 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2579 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2999 |

**ამინდის პროგნოზი 4 იანვრისთვის**




## 20 დეკემბრიდან

**მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები**




ემილ ზოლა

**ქალთა ბედნიერება**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 დეკემბრიდან

**ძმები გრიმები**

**წითელქუდა**

მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 29 დეკემბრიდან

ჰანს კრისტიან ანდერსენი

**პატარა სირინოზი**

მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## ოდესის ზოოპარკის დირექტორი მამლის კოსტიუმში გამოეწყო



უკრაინის ქალაქ ოდესის ზოოპარკის დირექტორმა იგორ ბელიაკოვმა მისალოც ვიდეოში 2017 წლის სიმბოლოს – მამლის კოსტიუმში გამოწყობილმა მიიღო მონაწილეობა. ვიდეოჩანაწერი იუთუბიზეა გამოქვეყნებული.

ბელიაკოვმა ვიდეორგოლი სიმღერა შანსონის სტილში შეასრულა, რომელშიც ყველას მოუწოდა, ესწრაფვოდენ სრულყოფილებას და საკუთარი თავის არ რცხვენოდეთ.

სხვათა შორის, ოდესის ზოოპარკის ხელმძღვანელისთვის ეს პირველი ასეთი ვიდეორგოლი არაა. 2015 წლის დასაწყისში მან ოდესელებს თხის ფორმაში გამოწყობილმა მიულოცა დღესასწაული.

## კანადელები ქუჩებში ციგურებით გადაადგილდებიან



კანადის ონტარიოს პროვინციის ქუჩები ყინულის ფენამ დაფარა, რის გამოც გზები ყინულის სასრიალო მოედნებს დაემსგავსა.

ოტოვა ველის რაიონში ძლიერი ლიპყინულის გამო ავტომობილებითა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება შეუძლებელი გახდა. ამის გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქუჩებში გადაადგილება ციგურებით დაიწყეს. ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია, რომ ქუჩები ყინულის საცურაო მოედანს დაემსგავსა, კანადელებმა ტვიტერში გამოაქვეყნეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი



ქმარი ცოლს ეუბნება:
– სულელო, ვინ გითხრა, რომ მსუქანი ხარ? მიდი, ორი სკამი მოიტანე და გვერდით მომიჯექი.

•••

კარზე აკაკუნებენ. სახლის პატრონი კარს აღებს და ხედავს, სტუმარია.
– წინასწარ რატომ არ გამაფრთხილე? – საყვედურობს მასპინძელი სტუმარს.
– მინდოდა, სახლში დამხვედროდი.

•••

ქმარი სამზარეულოში ზის, სიგარეტს აბოლებს და ფიქრობს. ცოლი ეკითხება:
– რაზე ფიქრობ?
– ისე, ჩემსაზე...
– გერჩივნა, ჩემსაზე გეფიქრა!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:
– რას აკეთებ?
– არაფერს.
– კი მაგრამ, გუშინაც მასე არ მიპასუხე?
– ვერ დავამთავრე და დღეს ვაგრძელებ...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:
– კაცო, ახალი წელი ჯერ არ დამდგარა და ჩვენს ეზოში ვიღაცამ უკვე გადააგდო ნაძვის ხე.
– ეს მე გადავაგდე ძველი, რომ ახლისთვის გამეთავისუფლებინა ადგილი.

•••

სამსახურიდან დაბრუნებულ დედას შვილმა ახარა:
– დედა, მე ჭურჭელი დავრეცხე.
– ყოჩაღ, შვილო!
– დედა, იატაკი მოვრეცხე.
– ყოჩაღ, შვილო!
– დედა, ჩვენი კატა მაკედაა.
– ყოჩაღ, შვილო!

•••

– თუ შეიძლება, ორმაგი ვისკი.
– გოგონი! ეს სკოლის სასადილოა!
– ოჰ, ბოდიშით, ჩაფიქრებული ვიყავი და... კომპოტი, თუ შეიძლება.

•••

კაცი ბარში შევიდა და ხმამაღლა ამბობს:
– ყველა პოლიტიკოსი ნაძირალაა.
ამ დროს ერთი ტიპი წამოდგა და მუქარით ეუბნება:
– გირჩევნია, შენი სიტყვები უკან წაიღო!
– რატომ, პოლიტიკოსი ხარ?
– არა, ნაძირალა!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 27 დეკემბრიდან

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი

**თორმეტი კეისრის ცხოვრება**




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ურუგვაიში კაზინოში თაღლითობისთვის ორი რუსი დაიჭირეს



ურუგვაის ხელისუფლებამ რუსეთის ორი მოქალაქე დააკავა, რომლებიც კაზინოში პოკერის თამაშის დროს თაღლითობაში არიან ეჭვმიტანილნი. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საagენტოები ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებენ.

აღნიშნული ინციდენტი მოხდა სასტუმრო კონრადის კაზინოში, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ პუნტა-დელ-ესტეში მდებარეობს. სამართალდამცავ ორგანოებში შევიდა საჩივარი იმაზე, რომ მამაკაცები ცდილობდნენ, პოკერის თამაშის დროს კაზინო მოეტყუებინათ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი მოთამაშე ფარული ვიდეოკამერის დახმარებით იღებდა ბანქოს ქაღალდების დარიგებას. მისი თანამზრახველი, რომელიც სასტუმროს ნომერში იმყოფებოდა, ვიდეოს უყურებდა და მაგიდასთან მჯდომს საჭირო ინფორმაციას გადასცემდა. მათ ასეთი საშუალების გამოყენებით 20 ათას დოლარამდე თანხის მოგება მოახერხეს.

დაკავებულების ჩხრეკის დროს მათ ჩამოერთვათ ელექტრომოწყობილობები, რომლებიც აუდიო და ვიდეო მონაცემების გადაცემისთვის იყო განკუთვნილი, სპეციალური ანტენები და სხვა საშუალებები.

დაკავებულების ვინაობა არ სახელდება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მამაკაცების ასაკი 39 და 46 წელია და ერთ-ერთი პროფესიონალი მოთამაშეა.

## დაცინვის ობიექტად ქცეული ბრიტანელი მოდელი გახდა



ბრიტანეთის ქალაქ ქოვენთრის მცხოვრები, რომელსაც სკოლაში სწავლის დროს ზედმეტი წონის გამო დასცინოდნენ, სამოდელო გადაღებებში მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ საბინა პელი რვა წლის ასაკიდან განიცდიდა თანატოლების მხრიდან დაცინვას. გოგონამ წონაში მატება მშობლების განქორწინების შემდეგ დაიწყო. ის შვებას ჭამაში ეძებდა. მამამ სპორტში ვარჯიში შესთავაზა და 15 წლის ასაკში გოგონამ არჩევანი ტაილანდურ კრივზე შეაჩერა. რეგულარული ვარჯიშების წყალობით პელმა მოახერხა ზედმეტი კილოგრამების მოშორება და თავდაჯერებულებაც შეემატა.

ახლა 21 წლის გოგონა აგრძელებს ვარჯიშს და შეჯიბრებებშიც მონაწილეობს, რომლებზეც რამდენიმე მედლისა და თასის მოგებაც მოასწრო. პელს ახლა უკვე ახალი მეგობრები ჰყავს და მოდის ფოტოსესიებსა და ჩვენებებშიც მონაწილეობს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. შემწე, მფარველი ადამიანი; 3. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 5. კვების გარკვეული რეჟიმი; 6. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფულზე, ფასიან ქაღალდზე; 8. რაინდული ქცევისა და ბუნების მქონე მამაკაცი ძველ თბილისში; 10. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. სპორტული სარბოლო მანქანა; 15. დაბალი, საამო ხმით მღერა; 16. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე.

**თარაზულად:** 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 4. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 7. მდინარე ზუგდიდში; 9. გემის ტვირთმზიდაობა; 11. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ღვინის სპირტი; 13. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 17. ორსულობის ნაადრევი, ხელოვნური შეწყვეტა; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ფრანგული არაყი; 20. მცენარეულის მჭამელი ცხოველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი